



გლობალური პროგრამა
ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭებისა &
გენდერული თანასწორობის
გამლიერებისთვის

მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო

გენდერული ნიშნით სქესის
შერჩევის შეფასება და მასთან
დაკავშირებული პოლიტიკა

გლობალური მაჩვენებლები
განმარტებები, გამოთვლები და
მონაცემთა წყაროები

საერთაშორისო რეკომენდაციები

ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭებისა და
გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის
მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო

*მომზადებულია დოქტორ ლაურა რამის მიერ
მოსახლეობისა და განვითარების ცენტრი, პარიზი
2019 წლის აგვისტო
საბოლოო ვერსია*

სარჩევი

სარჩევი	II
ცხრილები, გრაფიკები, ტაბულები	III
შემოკლებები	IV
მადლობა	V
შესავალი	1
მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს მიზანი	1
სამიზნე ჯგუფი	2
ჩარჩოს მიმოხილვა	2
არსებული სიტუაციის მოკლე მიმოხილვა	3
გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა: გლობალური პრობლემა	3
გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის პოლიტიკა და პროგრამები	3
მტკიცებულებებისა და ინფორმაციის ნაკლებობა იმის შესახებ თუ როგორ წარმართოთ გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენცია	5
გლობალური პროგრამა: ცოდნის გაღრმავება, პოლიტიკისა და პროგრამების გაძლიერება და პარტნიორების მოზიდვა	7
ცვლილების თეორია	8
მიმოხილვა	8
არსებული სიტუაცია: გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა და სქესთა შორის რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევა	9
განხორციელებული ღონისძიებები: ტექნიკური მხარდაჭერა, მომზადება და ცოდნის გაზიარება	10
შუალედური და საბოლოო შედეგები: ცოდნის გაფართოება, პოლიტიკა, პროგრამები და პარტნიორობა	11
გავლენა: გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრაქტიკის შემცირება	11
ძირითადი დაშვებები და გარე ფაქტორები	11
გენდერული ნიშნით სქესის შერჩევისა და მასთან დაკავშირებული ინტერვენციების მონიტორინგი და შეფასება	12
მონიტორინგისა და შეფასების ცვლადები	12
სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევა	12
გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის გამომწვევი ფაქტორები	13
პოლიტიკა და პროგრამები	14
მონიტორინგისა და შეფასების ძირითადი ცვლადები და ინდიკატორები	15
სქესთა შორის რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევის მაჩვენებლები	15
გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის გამომწვევ ფაქტორებთან დაკავშირებული მაჩვენებლები	16
პოლიტიკასა და პროგრამებთან დაკავშირებული მაჩვენებლები	17
რეკომენდაციები ეროვნული ინდიკატორების განსაზღვრისთვის	19
მონაცემთა წყაროები, ხელმისაწვდომობა და სანდოობა	23
მონიტორინგი და ანგარიშის მომზადება და წარდგენა	24
შეფასების სტრუქტურა	25
მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა	27
რეკომენდაციები	28
ბიბლიოგრაფია	39
დანართი 1: გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ წარმოებული წინასწარი კვლევა	41
დანართი 2: მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს ნიმუში	49

ცხრილები, გრაფიკები, ტაბულები

ცხრილი 1: გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრაქტიკის აღმოფხვრასთან დაკავშირებული პოლიტიკის ტიპები.....	4
ცხრილი 2: ფაქტორები და შეფასების სტრუქტურა	26
გრაფიკი 1: ცვლილების თეორია	8
გრაფიკი 2: მაჩვენებელთა ნიმუშები სხვადასხვა პროგრამულ დონეზე.....	20
გრაფიკი 3: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა სამხრეთ კორეაში, ინდონეზია და ვიეტნამში (2000-2015 წწ.).....	22
გრაფიკი 4: პოლიტიკის შემუშავებისთვის საჭირო მტკიცებულებები და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები	27
ტაბულა 1: გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის პროგრამების მონიტორინგთან და შეფასებასთან დაკავშირებული სირთულეების მოკლე მიმოხილვა.....	6
ტაბულა 2: რას ნიშნავს ცვლილების თეორია?.....	9
ტაბულა 3: გაუჩინარებული გოგონების, ბავშვთა/ადრეული ქორწინებისა და ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრების გლობალური სტატისტიკა	13
ტაბულა 4: რამდენია საკმარისი ინდიკატორი?	21
ტაბულა 5: დაბადებისას სქესთა შორის რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებლის ზრდა, ბიოლოგიური ნიშნულის შენარჩუნება და კლება.....	21
ტაბულა 6: ინტერვენციის დაკავშირება შედეგებთან.....	25

შემოკლებები

ANC	ანტენატალური მეთვალყურეობა
BCC	ქცევის შეცვლა კომუნიკაცია
CEDAW	კონვენცია ქალის მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ
CSR	სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ბავშვებში
DHS	ჯანმრთელობისა და დემოგრაფიული კვლევა
EU	ევროკავშირი
FGD	განხილვა ფოკუს-ჯგუფთან
FGM/C	ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება/მოკვეთა
GBSS	გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა
ICPD	მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენცია
IDI	სიღრმისეული ინტერვიუები
IEC	ინფორმაცია, განათლება, კომუნიკაცია
IOs	საერთაშორისო ორგანიზაციები
IRM	რეგიონთაშორისი მექანიზმი
IVF	ინ ვიტრო (ხელოვნური) განაყოფიერება
KAP	ცოდნა, დამოკიდებულებები და პრაქტიკა
MDG	ათასწლეულის განვითარების მიზნები
M&E	მონიტორინგი და შეფასება
NGOs	არასამთავრობო ორგანიზაციები
PC&PNDT	აქტი: ჩასახვამდე და პრენატალური დიაგნოსტიკური მეთოდების გამოყენების შესახებ
SDG	მდგრადი განვითარების მიზნები
SRB	დაბადებისას სქესთა შორის რაოდენობრივი თანაფარდობა
SSA	აბორტი სქესის შერჩევის მიზნით
TFR	შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი
გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
UNFPA	გაეროს მოსახლეობის ფონდი
ჯანმო	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია

მადლობა

მონიტორინგისა და შეფასების წინამდებარე ჩარჩო მომზადდა „ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭებისა და გენდერული თანასწორობის გაძლიერებისთვის“ პროგრამის გარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს მოსახლეობის ფონდი, და რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. მოცემული ჩარჩოს კვლევა და მომზადება პროფესორ ლორა რემის (Dr. Laura Rahm, CEPED) დიდი ძალისხმევით შედეგია. ჩარჩოს მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით შემდეგ პირებსა და ინსტიტუტებს:

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ანე მეი ანდერსონს, ისატუ სესაი-ბაიოს, უპალა დევის და მარია ანა ალარკონს, გაეროს მოსახლეობის ფონდის სათაო ოფისის წარმომადგენლებს, აგრეთვე ინგრიდ ფიცჯერალდს (გაეროს მოსახლეობის ფონდის აზიის და წყნარი ოკეანის რეგიონული ოფისის წარმომადგენელს) და ნიგინა აბასზადეს (გაეროს მოსახლეობის ფონდის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისის წარმომადგენელს), მოცემული ჩარჩოს დაგეგმვაში, შემუშავებასა და დახვეწაში შეტანილი წვლილისთვის. ასევე, მადლობას ვუხდით ნარინე ბეგლარიანს, ჰა თუ ქუნ ანს და ნგენ თი ნგას, გაეროს მოსახლეობის ფონდის სომხეთსა და ვიეტნამში არსებული ოფისების წარმომადგენლებს, მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით, ეროვნული სამოქმედო გეგმების საფუძველზე, პრაქტიკული რჩევების მოწოდებისათვის; ნაილა ჯაფაროვას, მაჰზუბ ე. ალამს და აისაგულ ესინს, წინამდებარე ჩარჩოს ადრეულ ვერსიაზე შემოთავაზებული მნიშვნელოვანი კომენტარებისათვის. განსაკუთრებული მადლობა ევროკავშირს, პროექტის დაფინანსებისათვის.

დოქტორმა ევერტ კეტინგმა შეადგინა მონიტორინგისა და შეფასების წინამდებარე ჩარჩოს პირველი პროექტი და წარადგინა იგი თურქეთში, ქალაქ სტამბოლში, 2019 წლის 25-29 მარტს გამართულ კონფერენციაზე, სახელწოდებით: „დაზარალებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის გაუმჯობესება, აზიისა და კავკასიის შერჩეულ ქვეყნებში“. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით, ასევე, პროფესორ ტომრის ტურმენს, დოქტორ აისეგულ ესინსა და ბავშვთა საერთაშორისო ცენტრის (რომელიც გლობალური პროგრამის რეგიონთაშორისი მექანიზმის ფუნქციას ასრულებდა) წარმომადგენელს - დაფნე აგაოლლუს, კონფერენციის ორგანიზებისა და ათზე მეტი ქვეყნიდან მნიშვნელოვანი მასალის შეგროვებისთვის. კონფერენციის მონაწილეების კონსტრუქციულმა წვლილმა საფუძველი ჩაუყარა წინამდებარე ჩარჩოს.

მაჩვენებელთა სრულყოფასა და მონიტორინგისა და შეფასების წინამდებარე ჩარჩოს მომზადებაში უმნიშვნელოვანესი მხარდაჭერისათვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ქრისტოფ ზ. გილმოტოს.

შესავალი

1980-იანი წლებიდან მოყოლებული, მსოფლიოს მასშტაბით, ქვეყნების სულ უფრო მზარდი რაოდენობა დგება დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებლების ზრდისა და ბიოლოგიური ნორმიდან - რომელიც შეადგენს 105 ახალშობილ ბიჭს ყოველ 100 გოგონაზე - გადახრის რეალობის წინაშე. აღნიშნულმა ტენდენციამ სათავე აიღო აზიის ქვეყნებიდან (ინდოეთი, სამხრეთ კორეა და ჩინეთი) და 1990-იან წლებში გავრცელდა კავკასიის ქვეყნებში (სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო) და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (ალბანეთი და მონტენეგრო), ბოლო დროს კი ქვეყნებში, როგორცაა ვიეტნამი და ნეპალი. ამ მოვლენას საფუძვლად ედო ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭებისა და გოგონათა არასათანადოდ დაფასების ტენდენცია. ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციები მზარდ შეშფოთებას გამოთქვამენ აღნიშნული ტენდენციის გამო და რიგ ქვეყნებში შემოღებული იქნა კანონები, შემუშავებული იქნა პოლიტიკა და პროგრამები, დემოგრაფიული მასკულინიზაციის შესაჩერებლად, რომელიც გავლენას იქონიებს მომავალ თაობებსა და მოსახლეობებზე. თუმცა, დაბადებისას სქესთა დარღვეული რაოდენობრივი თანაფარდობის შეჩერების მიზნით გატარებული პოლიტიკისა და მისი ეფექტურობის შესახებ მონაცემები და ინფორმაცია ძალიან მწირია. 2016 წელს, გაეროს მოსახლეობის ფონდი, ევროკავშირის მხარდაჭერით, შეუდგა ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭებისა და გოგონათა არასათანადოდ დაფასების პრევენციის პირველი გლობალური პროგრამის გახორციელებას, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის დაძლევისათვის საჭირო ცოდნის ბაზის გაფართოვება და შესაბამისი პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავება. მონიტორინგისა და შეფასების წინამდებარე ჩარჩო შეიქმნა აღნიშნული გლობალური პროგრამის ფარგლებში.

მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს მიზანი

წინამდებარე დოკუმენტის მთავარ მიზანს წარმოადგენს მსოფლიოსათვის გენდერული ნიშნით სქესის შერჩევისა და მასთან დაკავშირებული პოლიტიკის მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს შეთავაზება.

მონიტორინგისა და შეფასების წინამდებარე ჩარჩოს ამოცანები მოიცავს შემდეგს:

- რეკომენდაციების მიწოდება მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით, რაც ხორციელდება ძირითადი ცნებების, მაჩვენებლებისა და გამოთვლების განმარტების საშუალებით.
- კონკრეტული ჩარჩოს მიწოდება, რომელიც უნდა იქცეს მონიტორინგისა და

შეფასების ეროვნული სისტემების საფუძვლად, და რომელიც ადვილად ექვემდებარება ადაპტირებას, ქვეყნებში არსებულ სხვადასხვა კონტექსტსა და შეზღუდვებზე მისი მორგების მიზნით.

- ინფორმაციის მიწოდება ქვეყნებში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობისა და მასთან დაკავშირებული პოლიტიკის ზემოქმედებით, დროთა განმავლობაში მიმდინარე ცვლილებების შესახებ მონაცემთა შეგროვების, ანალიზის, დამუშავებისა და შესაბამისი ანგარიშების მომზადების თაობაზე.
- დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ტენდენციების, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის ხელშემწყობი ფაქტორებისა, და ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭებისა და სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკისა და პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების ხელშეწყობა და მხარდაჭერა.
- ინფორმაციის მიწოდება იმ მონაცემთა შესახებ, რომლის შეგროვებაც რეგულარულად ევალებათ ქვეყნების ხელისუფლებებსა და სტატისტიკის სამსახურებს.
- ინფორმაციის მიწოდება ამ მიმართულებით მიღებული შედეგებისა და პროგრესის დასადასტურებლად საჭირო თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევების შესახებ.
- პოლიტიკის შემუშავების დონეზე, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო მტკიცებულებების შექმნა და ინფორმაციის მიწოდება ანგარიშების წარმოებისა და აღნიშნული მიმართულებით წარმოებული სამუშაოს ეფექტურობის გაუმჯობესების გზების თაობაზე.
- გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის, ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭების და დაკავშირებული პოლიტიკის მონიტორინგისა და შეფასების გლობალური სტანდარტების დადგენა, ზემოთ ხსენებული გლობალური პროგრამის მიღმა, რომელიც 2019 წელს სრულდება.

სამიზნე ჯგუფი

წინამდებარე ჩარჩო, პირველ რიგში, განკუთვნილია საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევისა და ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭების პრევენციის პროგრამების მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელი პირებისათვის, რომლებშიც მოიაზრება სხვადასხვა დაინტერესებული პირები, როგორცაა:

- გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის პროგრამის შემუშავებასა და გახორციელებაზე პასუხისმგებელი პირები.
- გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის პროგრამების

ადგილობრივი ხელმძღვანელები, და ასევე პირები, რომლებიც აღნიშნულ პროგრამებს სათაო ოფისიდან ხელმძღვანელობენ.

- პროგრამაში ჩართული პირები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან პროგრამის ფარგლებში გატარებული ღონისძიებების ყოველდღიურ მონიტორინგზე.
- სტატისტიკის სამსახურში დასაქმებული პირები, რომლებიც კურირებენ მონაცემთა წყაროებსა და პასუხისმგებელი არიან ამ წყაროების სანდოობის უზრუნველყოფაზე.
- პირები, რომლებსაც საკმარისი გამოცდილება აქვთ დაგროვილი მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით (მათ შორის შემფასებლებიც), რომელთაც აქვთ სურვილი მონაწილეობა მიიღონ გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობისა და მათთან დაკავშირებული პოლიტიკის მონიტორინგისა და შეფასების პროცესებში.
- გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის სპეციალისტები, რომლებსაც შესაძლებელია არ ჰქონდეთ მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით მუშაობის საკმარისი გამოცდილება და, შესაბამისად, ამ მიმართულებით რეკომენდაციებს საჭიროებდნენ.

მოცემული ჩარჩოთი ასევე შესაძლებელია დაინტერესდნენ სხვა პირები, რომლებსაც სურთ მიიღონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ წარმოებს გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის პროგრამის ეფექტურობის შეფასება, მათ შორის არიან პარტნიორი ქვეყნების მთავრობების, პარლამენტების, სამეცნიერო წრეებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მოცემული ჩარჩოთი სარგებლობა გაცილებით მარტივია, თუ პირები ფლობენ საბაზისო ცოდნას აღნიშნულ საკითხზე და თუ მათთვის ცნობილია ის ძირითადი ცნებები, რომლებიც უკავშირდება გენდერული ნიშნით სქესის შერჩევასა და დაბადებისას სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობას, თუმცა, ამავე დოკუმენტში მითითებულია წყაროები, რომელთა გაცნობაც სრულყოფილ წარმოდგენას ქმნის აღნიშნულ საკითხებსა და ცნებებზე. საერთო ჯამში, მოცემული პრაქტიკული სახელმძღვანელოს მიზანს წარმოადგენს სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა დაინტერესებული პირისთვის, რომლებიც წარმოადგენენ არა მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომლებიც მოცემულ გლობალურ პროგრამაში არის ჩართული, არამედ ქვეყნებსაც, რომლებიც არ არის ჩართული მოცემულ პროგრამაში, თუმცა დგას იმ პრობლემის წინაშე, რომლის დაძლევისაც ეს პროგრამა ითვალისწინებს.

ჩარჩოს მიმოხილვა

წინამდებარე ჩარჩო შედგება ექვსი თავისგან:

1. **შესავალი**, რომელშიც საუბარია მოცემული ჩარჩოს ამოცანებსა და სამიზნე ჯგუფზე.
2. **არსებული სიტუაციის მოკლე მიმოხილა**, რომელშიც ახსნილია და განმარტებულია გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა, მასთან დაკავშირებული პოლიტიკა, არსებული ინფორმაციული ბაზის ნაკლოვანებები და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის გლობალური პროგრამა, რომელიც აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრას ემსახურება.
3. **ცვლილების თეორია**, რომელიც აღწერს სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევის თვალსაზრისით არსებულ სიტუაციას, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის გამომწვევ ფაქტორებს და ინტერვენციის ტიპებს, რომლებიც სასურველი შედეგების მიღებას ემსახურება. მასში ასევე საუბარია გაანგარიშებებსა და იმ გარე ფაქტორებზე, რომლებიც ზემოქმედებს არსებულ სიტუაციაზე.
4. **მონიტორინგი და შეფასება**, რომელშიც საუბარია მონიტორინგისა და შეფასების ცვლადებზე, მათთან დაკავშირებულ მაჩვენებლებზე, მონაცემთა წყაროებზე, მათ ხელმისაწვდომობასა და ნაკლოვანებებზე. მასში მოცემულია რეკომენდაციები ეროვნული მაჩვენებლების შემუშავებასთან დაკავშირებით, ასევე, მონიტორინგის წარმოებასთან, ანგარიშების წარმოებასა და წარდგენასთან და შეფასების სტრუქტურასთან დაკავშირებით. მონიტორინგისა და შეფასებისადმი მიძღვნილი თავის ბოლოს მოცემულია რეკომენდაციები მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებასთან დაკავშირებით.
5. **ვიეტნამის მაგალითის კვლევა** წარმოადგენს მონიტორინგისა და შეფასების ეროვნული ჩარჩოს ნიმუშს, მასთან დაკავშირებული მაჩვენებლებითა და მიზნებით.
6. **დასკვნაში** შეჯამებულია მონიტორინგისა და შეფასების წინამდებარე ჩარჩო და მისი ძირითადი საკითხები.

არსებული სიტუაციის მოკლე მიმოხილვა

გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა: გლობალური პრობლემა

გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა მოიცავს სხვადასხვა პრენატალურ და პოსტნატალურ სტრატეგიებს, რომლებიც ემსახურება შთამომავლობის სქესის მართვას. ყველაზე გავრცელებულ სტრატეგიებს წარმოადგენს ნაყოფის სქესის განსაზღვრა ულტრაბგერითი გამოკვლევით, რასაც, მდედრობითი სქესის შემთხვევაში, შედეგად მოჰყვება შერჩევითი აბორტი; და მდედრობითი სქესის ბავშვთა გაზრდილი სიკვდილიანობა, რაც გამოწვეულია ახალშობილების მკვლელობითა და ახალშობილებზე არასათანადო ზრუნვით. გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის ტენდენციას საფუძველი ჩაეყარა აზიის მთელ რიგ ქვეყნებში, 1980-იან წლებში, და აღნიშნულმა ტენდენციამ ეტაპობრივად გლობალური მასშტაბი შეიძინა. ამჟამად, ათზე მეტი ქვეყანა დგას დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევის პრობლემის წინაშე, დაწყებული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან და დამთავრებული კავკასიის რეგიონის, სამხრეთ აზიის, სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებით. იგივე პრობლემა იჩენს თავს ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში არსებულ მიგრანტთა თემებში, თუმცა, მათი პრაქტიკა მცირედ თუ აისახება ეროვნულ სტატისტიკაში.

გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა გლობალურ პრობლემად იქცა და არა მარტო ამ პრობლემის გავრცელების არეალის გათვალისწინებით. პირველ რიგში, იგი წარმოადგენს გენდერული დისკრიმინაციის მძიმე ფორმას, რაც წინ ეღობება და ხელს უშლის მსოფლიოში გენდერული თანასწორობის მიღწევისა და ყველა საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრის მიმართულებით გაღებულ ძალისხმევას, რომელიც 2030 წლისათვის მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას ემსახურება (მდგრადი განვითარების მიზანი 5.3). გარდა ამისა, აღნიშნულ პრაქტიკასთან დაკავშირებული შედეგები, გრძელვადიან პერიოდში, სავარაუდოდ, უფრო მეტ რეგიონს მოიცავს მსოფლიო მასშტაბით. ქორწინების ასაკის გაუჩინარებული ქალების მზარდი რაოდენობა ზრდის ქორწინების მიზნით მიგრაციის დონეს, ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტების რაოდენობას. აღნიშნულ თემაზე მომზადებულ ზოგიერთ ანგარიშში საუბარია იმაზე, რომ დასაქორწინებელი ასაკის ქალების სიმწირე შექმნის პოლიტიკურ არეულობას, რაც უკავშირდება მარტოხელა მამაკაცების რაოდენობისა და ახალგაზრდების მკვეთრ დემოგრაფიულ ზრდას (Hudson and Den Boer 2004; Urdal 2006), თუმცა, ამ მოსაზრების გამყარებისთვის საჭირო მტკიცებულებები ჯერ კიდევ არასაკმარისი რაოდენობით გვაქვს. და ბოლოს, გლობალური ზრდის თვალსაზრისით, საკმაოდ მნიშვნელოვანია ის ეკონომიკური დანაკარგები (რომელიც 12 ტრილიონ აშშ დოლარს აღწევს), რომლებსაც ქვეყნები განიცდიან და

რომლებიც უკავშირდება მდებარეობითი სქესის მოსახლეობის პოტენციალის ნაკლებობას ან მის არასაკმარისად გამოყენებას (Woetzel et al. 2015).

მოცემული მზარდი გლობალური პრობლემის მოგვარება საჭიროებს სრულყოფილ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იქნას წარმოებული დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობისა და მის შესანარჩუნებლად საჭირო პოლიტიკის მონიტორინგი და შეფასება, გენდერული ტენდენციურობის შემცირებისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, არა მხოლოდ იმ ქვეყნებსა თუ რეგიონებში, სადაც აღნიშნული პრობლემა მწვავედ დგას, არამედ სრულიად გლობალურ საზოგადოებაში.

გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის პოლიტიკა და პროგრამები

მოყოლებული 1980-იანი წლებიდან, საიდანაც სათავეს იღებს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევების ტენდენცია, აზიის რამდენიმე ქვეყანაში შემოებული იქნა საჯარო პოლიტიკა, რომელიც ამ ქვეყნებში მზარდი დემოგრაფიული მასკულინიზაციის შეჩერებას ემსახურებოდა. აღნიშნული პოლიტიკა მოიცავს სამართლებრივი ნორმების შემოღებას, რომელიც ემსახურება შეზღუდვების დაწესებას არასამედიცინო მიზნით ნაყოფის სქესის განსაზღვრისა და სქესის შერჩევის ხელმისაწვდომობაზე, ასევე, ემსახურება ცნობადობის ამაღლებას, ფინანსური წახალისების შემოღებასა და ფართო სამართლებრივი რეფორმების გატარებას, ქალების უფლებების უკეთ დასაცავად და ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭების მიმართულებით არსებული წნეხის შერბილებისათვის. ცხრილში 1 გთავაზობთ აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებული პოლიტიკის ტიპების, მათი ამოცანების, უპირატესობების და ხარვეზების დეტალურ მიმოხილვას და შესაბამის მაგალითებს.

ცხრილი 1: გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებული პოლიტიკის ტიპები

პოლიტიკის ტიპები	პოლიტიკის ამოცანები	მაგალითები	უპირატესობები	ხარვეზები
სამართლებრივი აკრძალვები	სქესის შერჩევისა და სქესის განსაზღვრის საშუალებებზე წვდომის შეზღუდვა და შესაბამისი საშუალებების რეკლამირებისა და პოპულარიზაციის საშუალებების შეზღუდვა	აქტი სამედიცინო მომსახურების შესახებ (კორეა), აქტი ჩასახვამდე დიაგნოსტიკური მეთოდების გამოყენების შესახებ (ინდოეთი), დადგენილება მოსახლეობის თაობაზე (ვიეტნამი)	პირდაპირი ინსტრუმენტი, რომელიც ზემოქმედებს სქესის შერჩევისასთან დაკავშირებულ ქვევაზე	სუსტი მონიტორინგი და კანონის გატარების საჭიროება, კანონის დარღვევის ნორმად ქვეყნის ტენდენცია, უსაფრთხო აბორტის ხელმისაწვდომობის პოტენციური შეზღუდვა
კანონები, რომლებიც ემსახურება გენდერული	თანაბარი უფლებების უზრუნველყოფის ხელშეწყობა,	ოჯახის უფროსის სისტემის გაუქმება, 2005 წელი (კორეა); მემკვიდრეობის	ადამიანის უფლებების დაცვა, საერთაშორისო ნორმების შესაბამისად	ირიბი ღონისძიება, კულტურული ბარიერები, მყარად გამჯდარი ნორმები,

თანასწორობის უზრუნველყოფას	მაგალითად, მემკვიდრეობაზე, ქონებაზე, განათლებაზე, დასაქმების შესაძლებლობებზე	აქტი, 2005 წელი (ინდოეთი); კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, 2006 წელი (ვიეტნამი)	(კონვენცია ქალის მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ, მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენცია, პეკინი, ათასწლეულის განვითარების მიზნები, მდგრადი განვითარების მიზნები)	რომელიც ხელს უშლის კანონის აღსრულებას, წინააღმდეგობები სამართლებრივ კოდექსში
ცნობადობის ამაღლების მიზნით წარმოებული კამპანიები	ქვეყნის შვეკლა, გოგონების სათანადოდ დაფასება, გენდერული დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა, ცნობადობის ამაღლება	„გოგონებზე ზრუნვა“ (ჩინეთი); „შეიყვარეთ თქვენი გოგონები“ (კორეა); „გადავარჩინოთ გოგონები“ (ინდოეთი); „ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელები, და ვიბრძოლოთ სქესის შერჩევის წინააღმდეგ“ (ვიეტნამი)	პირდაპირი ინსტრუმენტი, რომელიც ებრძვის გამოძევებულ მიზეზებს / სოციალური ნორმები, სამიზნე ჯგუფზე მორგებული	გენდერული სტერეოტიპების გამყარების აღზოგადება, არასწორი ინტერპრეტაციები, სოციალური ღირებულებების ნელი ტემპით ცვლა
ფინანსური წახალისება	გოგონების სათანადოდ დაფასება, სქესთა შორის დარღვეული რაოდენობრივი თანაფარდობის აღდგენა, ახალშობილთა სიკვდილიანობის შემთხვევათა რაოდენობის შემცირება და ა. შ.	„Dhan Lakshmi“-ის სქემა, 2008 წელი (ინდოეთი), „Apni Beti Apna Dhan“, 1994 წელი (პარანა, ინდოეთი)	პირდაპირი ინსტრუმენტი, მრავალმხრივი ეფექტი (განათლება, ჯანმრთელობა), ადრესატების მოტივირება	ხშირად უკავშირდება ოჯახის დაგეგმვის პროგრამების მაღალ ხარჯებს, პირობების სიმრავლე, სამიზნე ჯგუფებთან თანხვედრის დარღვევა, შთაბეჭდილება იმისა, რომ იმ „ზარალის“ სანაცვლოდ, რომელიც გოგონას აღზრდას უკავშირდება, გაიცემა კომპენსაცია, არამიზნობრივად გამოყენება (შხითვის ფორმით)
მომსახურება, როგორც არასასურველი ბავშვების სხვადასხვა ინსტიტუტებში მოთავსების შედეგად	სქესობრივი ნიშნით შერჩევითი აბორტების რაოდენობისა და ახალშობილთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება, შვილად აყვანის პოლიტიკის ხელშეწყობის საშუალებით	ახალშობილთა სხვადასხვა ინსტიტუტებში მოთავსების სქემა, 1992 წელი (ტამილნადუ, ინდოეთი)	გოგონათა უსაფრთხოების დროებითი უზრუნველყოფა, მდებარეობითი სქესის ახალშობილთა მკვლელობის შემთხვევათა შემცირება	სამიზნე ჯგუფის წახალისება ახალშობილთა მიტოვების მიმართულებით, სქესის მიხედვით შერჩევის შემთხვევათა დაუსჯელად დატოვება
შობადობასთან დაკავშირებული რეგულაციების შერბილება	ოჯახზე ზეწოლის შერბილება, შობადობის კონტროლის მიზნით დაწესებული რეგულაციების მოხსნით	1 შვილზე მეტი შვილის ყოლაზე შეზღუდვის მოხსნა (ჩინეთი), 2 შვილზე მეტი შვილის ყოლაზე შეზღუდვის მოხსნა (ვიეტნამი)	რეპროდუქციული ავტონომია	დავა ზემოქმედების შესახებ, შობადობის პოტენციური ზრდა, ნაცვლად შობადობის დაბალი მაჩვენებლისა, შობადობის კონტროლის მექანიზმის არარსებობის პირობებში, ირიბი ღონისძიება
სოციალური დაცვის სქემები	სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სოციალური დაცვის ღონისძიებები	სოციალური დაზღვევა (მაგ. პენსიები, ჯანმრთელობისა და უმუშევრობის დაზღვევა) და სოციალური დახმარება	უსაფრთხოების ქსელი ხანდაზმულებისათვის, შვილებზე მშობლების რჩენის ზეწოლის შემცირება	ირიბი ღონისძიება, დაფარვის დაბალი მაჩვენებელი, არაფორმალური სექტორი, კულტურული ბარიერები, მაღალი ხარჯები

წყარო: რამი (2019 წ.)

თავდაპირველად, აღნიშნული პოლიტიკის ტიპების შემოღება გახორციელდა სახელმწიფოების მიერ დამოუკიდებლად, ვინაიდან აღნიშნული ტენდენცია წარმოადგენდა პრობლემას, რომლის წინაშეც ცალკეული ქვეყანები იდგნენ, როგორცაა სამხრეთ კორეა, ინდოეთი და ჩინეთი (Rahm 2017). თუმცა, 1990-იანი წლებისთვის, საერთაშორისო ორგანიზაციებმა და ექსპერტებმა შექმნეს პლატფორმა ტრანსნაციონალური კომუნიკაციისათვის, რომელიც იმართებოდა მოსახლეობისა და განვითარების მსოფლიო დღისწესრიგის ფარგლებში.

საერთაშორისო შეთანხმებები, როგორცაა, 1994 წელს გამართული მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენცია და 1995 წლის პეკინის დეკლარაცია და მოქმედების პლატფორმა საფუძვლად დაედო სქესის შერჩევის წინააღმდეგ მიმართულ გლობალურ ძალისხმევას. გენდერული ნიშნით სქესის შერჩევისადმი მიძღვნილ ექსპერტთა პირველ საერთაშორისო შეხვედრას უმასპინძლა გაეროს მოსახლეობის ფონდმა და სამხრეთ კორეის მთავრობამ, სეულში, 1994 წელს (მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციიდან მხოლოდ 3 თვის შემდეგ). ამ თარიღიდან მოყოლებული, გამოცდილების - განსაკუთრებით მონაცემებისა და პოლიტიკის საკითხებში დაგროვილი გამოცდილების - სხვა ქვეყნებისთვის გაზიარების მიმართულებით ძალისხმევა დღითიდღე იზრდება. ამგვარი საერთაშორისო კომუნიკაციისა და ჰარმონიზაციის შედეგია ის ერთიანი პოლიტიკა, რომელიც გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრობლემის დამლევას ემსახურება.

2000-იანი წლებიდან მოყოლებული, მეცნიერების ყურადღება მიმართულია სქესთა შორის დარღვეული რაოდენობრივი თანაფარდობის შედეგებზე, თუმცა მასთან დაკავშირებული პოლიტიკის კვლევა ჯერ არ ჩატარებულა. 2011 წელს, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისმა (OHCHR), გაეროს მოსახლეობის ფონდმა, გაეროს ბავშვთა ფონდმა (UNICEF), გაეროს ქალთა ორგანიზაციამ (UN Women) და ჯანმო-მ ერთობლივად შეიმუშავა და გამოსცა უწყებათაშორისი განცხადება „გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის“ შესახებ, რომელშიც მოცემულია მნიშვნელოვანი პოლიტიკური რეკომენდაციები, იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც აღნიშნული პრობლემის წინაშე დგას (ჯანმო, 2011 წ.). იმავე წელს, გაეროს მოსახლეობის ფონდის ორგანიზებით, ჰანოიში გაიმართა აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სემინარი, რომელსაც ესწრებოდნენ სპეციალისტები იმ ქვეყნებიდან, რომლებშიც მოცემული პრობლემა მწვავედ დგას. 2015 წლისთვის მდგრადი განვითარების მიზნები შეიცავს მოწოდებას, ქალთა და გოგონათა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის თაობაზე (მდგრადი განვითარების მიზანი 5.1) და საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრის თაობაზე (მდგრადი განვითარების მიზანი 5.3), რაც ემსახურება წინსვლას, ქალის მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციისა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების მიმართულებით. 2016 წელს, გაეროს მოსახლეობის ფონდმა და ევროკავშირმა ერთობლივად წამოიწყო ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭებისა და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის პირველი გლობალური პროგრამა, რომელიც ემსახურებოდა, აზიასა და კავკასიაში, ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭებისა და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის თაობაზე არსებული ეროვნული პოლიტიკის ხელშეწყობასა და რეგიონთაშორისი დიალოგის გაღრმავებას.

აღნიშნულმა მხარდმა გლობალურმა მოძრაობამ ხელი შეუწყო ცოდნის ურთიერთგაზიარებას, რისი შედეგიც არის ის უამრავი პუბლიკაცია, რომელიც სქესის შერჩევის თვალსაზრისით არსებულ სიტუაციასა და მტკიცებულებათა ბაზას მიმოიხილავს (მაგ. ჯანმო, 2011 წ.; გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2012 წ.; მოსახლეობის საბჭო და გარემოს, ჯანმრთელობისა და მოსახლეობის კვლევითი ცენტრი (CREHPA) 2015 წ.). მიუხედავად იმისა, რომ გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა უკვე სამ ათწლეულზე მეტია რაც არსებობს, ჯერ კიდევ მწირია ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ და რა გზებით უნდა ვაწარმოოთ სქესის შერჩევის პრევენცია (გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) და გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2014 წ.).

მტკიცებულებებისა და ინფორმაციის ნაკლებობა იმის შესახებ თუ „როგორ ვაწარმოოთ“ გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენცია

ტექნიკური მხარდაჭერის სხვა სფეროებთან შედარებით, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის პროგრამების მონიტორინგი, დღევანდელ დღემდე, ნაკლებად მკაცრად და ეფექტურად ხორციელდებოდა, და აღნიშნული პროგრამების შეფასება ნაკლები სიხშირით წარმოებდა და ნაკლებ ინფორმაციულ ხასიათს ატარებდა. მტკიცებულებებისა და ინფორმაციის ზემოთ ხსენებულ ნაკლებობას რამდენიმე მიზეზი გააჩნია.

პირველ რიგში, რიგი პოლიტიკისა და ინტერვენციის შემუშავება წარმოებული იქნა მონიტორინგისა და შეფასების პირობების გათვალისწინების გარეშე და მათი დანერგვა-გატარება დაჩქარებული წესით მოხდა. ძირითად დაინტერესებულ მხარეებს, რიგ შემთხვევაში, წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ მონიტორინგისა და შეფასების სტანდარტებზე ან არ ფლობდნენ საკმარის დაფინანსებასა და რესურსებს მათ გასახორციელებლად.

გარდა ამისა, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მონიტორინგის წარმოება და დასკვნების გამოტანა კონკრეტულ სირთულეებს უკავშირდება (განსაკუთრებით, დიფერენცირებულ დონეებზე). საბაზისო მონაცემები, როგორცაა დაბადების რეგისტრაციის სტატისტიკა, ხშირ შემთხვევაში, არ არის ხელმისაწვდომი, მასზე სათანადო მონიტორინგის ჩასატარებლად. დამატებით, დაბადებულთა რაოდენობა შესაძლოა ძალიან მცირე იყოს იმისათვის, რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვან მონაცემად იქნას მიჩნეული. ასევე, არსებობს სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევებთან დაკავშირებული

სხვადასხვა ინტერპრეტაციები და გამოთვლები (მაგ. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებლები, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ბავშვებში, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა მოსახლეობაში), რომელთა შემთხვევაშიც არ არსებობს საკმარისი ტექნიკური გამოცდილება დემოგრაფიული ტენდენციებისა და პოლიტიკის ზემოქმედების გასაზომად და მიღებულ მონაცემთა დასამუშავებლად.

დამატებით, განსხვავებით სხვა დემოგრაფიული ტენდენციებისაგან, მოცემულ ტენდენციასთან დაკავშირებით შეუძლებელია პირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა დემოგრაფიულ შედეგებსა და პოლიტიკის მიმართულებით წარმოებულ ინტერვენციებს შორის, ვინაიდან უამრავი სხვა კონტექსტუალური ფაქტორი (მაგ. რელიგია, კულტურა, სოციო-ეკონომიკური სტატუსი, და ა. შ.) გავლენას ახდენს ოჯახების რეპროდუქციულ სტრატეგიებზე. აღნიშნული ფაქტორები, ისევე როგორც სხვა გარე ფაქტორები, ხშირად, რთულად ექვემდებარება კონტროლს.

გარდა ამისა, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა პოლიტიკურად სენსიტიურ საკითხებს განეკუთვნება. არც ერთ ქვეყანას თუ მთავრობას არ სურს იმის აღიარება, რომ გოგონების მიმართ ამდენად უხეში ფორმის დისკრიმინაციას აქვს ადგილი, განსაკუთრებით ჯერ არ დაბადებული გოგონების მიმართ. მოსახლეობის მიმართ მკაცრ პოლიტიკასა და სქესის შერჩევას შორის კავშირი შესაძლოა პოლიტიკური დილემის კიდევ ერთ წყაროდ იქცეს. აქედან გამომდინარე, ხშირად, ადვილი არ არის სქესის შერჩევის რელევანტურ პოლიტიკურ საკითხად აღიარება. იყო შემთხვევები, როდესაც მთავრობები მისაღებად მიიჩნევდნენ სქესის შერჩევის ტენდენციას, როგორც მოსახლეობის ზრდის ტემპის შენელების ხელისშემწყობ ტენდენციას, ვინაიდან ნაკლები გოგონას დაბადება, მომავალში, თავისთავად ნიშნავს მცირე რაოდენობით პოტენციურ დედას (Bumgarner 2007).

და ბოლოს, გენდერული საკითხების მონიტორინგი და შეფასება შესაძლოა არ წარმოადგენდეს მთავრობებისთვის პრიორიტეტულ საკითხს, ისევე მისი სენსიტიურობიდან გამომდინარე, როდესაც იგი აბორტს უკავშირდება. გარდა ამისა, ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები (იხ. ტაბულა 1) კიდევ უფრო აღრმავებს გენდერული ნიშნით სქესის შერჩევასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და ინტერვენციების შესახებ არსებული ლიტერატურისა და ცოდნის დეფიციტს. ამ მიმართულებით ძალიან მცირე რაოდენობის კვლევებია წარმოებული (Li, Yi, and Zhang 2011; Nandi and Deolalikar 2013; Sinha and Yoong 2009; Subramanian and Selvaraj 2009), რისი შედეგიც არის მონიტორინგისა და შეფასების პრინციპების არარსებობა. წინამდებარე ჩარჩო, რომელიც გლობალური პროგრამის მხარდაჭერით ინერგება, მიზნად ისახავს აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების საქმეში საკუთარი წვლილის შეტანას.

ტაბულა 1: გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის პროგრამების მონიტორინგთან და შეფასებასთან დაკავშირებული სირთულეების მოკლე მიმოხილვა

- პირები, რომლებსაც გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრობლემის მოგვარება ევალებათ, შესაძლოა არ ფლობდნენ ინფორმაციას მონიტორინგისა და შეფასების შესახებ, ან არ ჰქონდეთ მონიტორინგისა და შეფასების წარმოების შესაძლებლობა.
- სხვადასხვა პასუხისმგებელ პირებს შესაძლოა განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდეთ იმაზე, თუ რას გულისხმობს გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა.
- გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა პოლიტიკურად სენსიტიურ საკითხებს განეკუთვნება.
- გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის იდენტიფიცირება და გაზომვა გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება.
- ბევრი ქვეყანა არ აწარმოებს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობასთან ან გენდერული ნიშნით სქესის შერჩევასთან დაკავშირებული ცვლადების გაზომვას, ეროვნულ დონეზე წარმოებული წარმომადგენლობითი კვლევების საშუალებით.
- პასუხისმგებელი პირები ხშირად საჭიროებენ ზეწოლას, გენდერულ უფლებებთან და ქალთა და გოგონათა უფლებებთან დაკავშირებული საკითხების პრიორიტეტული საკითხების რანგში განხილვისათვის.

გლობალური პროგრამა: ცოდნის გაღრმავება, პოლიტიკისა და პროგრამების გაძლიერება და პარტნიორობის მოზიდვა

ევროკავშირის დაფინანსებით, გაეროს მოსახლეობის ფონდი ხელმძღვანელობს „ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭებისა და გოგონათა არასათანადოდ დაფასების პრევენციის გლობალურ პროგრამას“, 2016 - 2019 წლებში. პროგრამა ხორციელდება აზერბაიჯანში, სომხეთში, ბანგლადეშში, საქართველოში, ნეპალსა და ვიეტნამში. აღნიშნულ პროგრამას შემდეგი ურთიერთდაკავშირებული ამოცანები გააჩნია: 1) გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის შესახებ არსებული ცოდნის ბაზის გაღრმავება; 2) გენდერული ნიშნით სქესის შერჩევასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პროგრამების მონიტორინგის საწარმოებლად საჭირო ეროვნული და რეგიონული შესაძლებლობების განმტკიცება; და 3) რეგიონთაშორისი მექანიზმის შემოღება, რომელიც ემსახურება ეროვნული შესაძლებლობებისა და სამხრეთ-სამხრეთის თანამშრომლობის განმტკიცებას. საერთო ჯამში, მოცემული გლობალური პროგრამის მიზანს წარმოადგენს არსებული ცოდნის გაღრმავება, პოლიტიკის, პროგრამებისა და პარტნიორობის განმტკიცება, რაც თავის მხრივ ემსახურება გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრობლემის ეფექტურად

მოგვარებას.

სამხრეთ-სამხრეთის კომპონენტი წარმოადგენს იმ ძალისხმევის პროდუქტს, რომელიც პროგრამაში მონაწილე ექვს ქვეყანას შორის ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას გულისხმობს და, ასევე, გულისხმობს უკვე არსებული გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარებას, იმ ქვეყნების მიერ, რომლებშიც გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის მიზნით შემოღებულია კანონები, შემუშავებულია და ტარდება პოლიტიკა და პროგრამები. აღნიშნული კომპონენტის მხარდამჭერია ბავშვთა საერთაშორისო ცენტრი, რომელიც მდებარეობს თურქეთის ქალაქ ანკარაში, და რომელიც რეგიონთაშორის მექანიზმის ფუნქციას ასრულებს. მონიტორინგისა და შეფასების მოცემული ჩარჩო სამხრეთ-სამხრეთის თანამშრომლობის ნაწილს წარმოადგენს. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ცვლადებისა და მაჩვენებლების განმარტებების სისტემაში მოყვანას, და გასცეს რეკომენდაციები, რომლებიც უკავშირდება მონიტორინგისა და შეფასების ინტრუმენტების შემუშავებასა და მათ გამოყენებას.


აღიარებს რა გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციისთვის საჭირო მტკიცებულებებისა და ინფორმაციის ნაკლებობას (იხ. წინა ქვეთავი), გლობალურმა პროგრამამ გარკვეული წვლილი შეიტანა ამ მიმართულებით დაგროვილი ცოდნის გაღრმავების საქმეში. ამის კონკრეტულ მტკიცებულებას წარმოადგენს სამხრეთ კორეის შემთხვევის შესწავლა და შესაბამისი ანგარიშის მომზადება (ვინაიდან სამხრეთ კორეა არის პირველი ქვეყანა, რომელმაც დაძლია დემოგრაფიული მასკულინიზაცია), შესაბამისი კვლევის მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს შექმნა, აგრეთვე, კომუნიკაციისა და ადვოკატირებისათვის საჭირო ინსტრუმენტთა ნაკრების შექმნა, რომელიც ემსახურება გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის შემთხვევათა შემცირებას. დამატებით, შემუშავებული იქნა მონიტორინგისა და შეფასებასთან დაკავშირებული ეროვნული სახელმძღვანელო პრინციპები (მაგ. სომხეთსა და ვიეტნამში), ეროვნულ კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობის ფარგლებში წარმოებული იქნა ქვეყნის მასშტაბით პოლიტიკის ზემოქმედების კვლევები (მაგ. სომხეთში, საქართველოსა და აზერბაიჯანში), და დემოგრაფიისა და პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირების მოსამზადებლად შემუშავებული და გავრცელებული იქნა სპეციალური მასალა, რომელიც მოიცავს სპეციალურად მონიტორინგისა და შეფასებისადმი მიძღვნილ მოდულებს.

ცვლილების თეორია

მიმოხილვა

წინამდებარე ნაწილში განხილულია ცვლილების გლობალური თეორია, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის ჭრილში, გლობალური პროგრამის ლოგიკური ჩარჩოს (ევროკავშირი, 2015 წ.) მიზნებიდან გამომდინარე. კონკრეტულად, წინამდებარე ნაწილში განხილულია გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციასთან დაკავშირებული სიტუაციები, ინტერვენცია/ლონისძიებები, შუალედური შედეგები, საბოლოო შედეგები, მოსალოდნელი ზემოქმედება და ის გაანგარიშებები, რომლებიც საფუძვლად უდევს პრევენციასთან დაკავშირებულ პოლიტიკას (იხ. გრაფიკი 1).

გრაფიკი 1: ცვლილების თეორია



მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ცვლილების გლობალური თეორია ადაპტირებას საჭიროებს იმ კონკრეტულ მოცემულობაზე და რეალობაზე მორგების მიზნით, რომელიც მრავალფეროვან ეროვნულ კონტექსტს ახასიათებს. ამ თვალსაზრისით, ცვლილების გლობალური თეორია ქვეყნებისათვის წარმოადგენს გზამკვლევს,

რომელიც დაეხმარება მათ შეარჩიონ აუცილებლად გასატარებელი ღონისძიებები, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრობლემის მოგვარების მიზნით, და დაადგინონ გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის გამომწვევი ფაქტორები (იხ. ტაბულა 2). შერჩეული ღონისძიებები უნდა ითვალისწინებდეს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებს, ემსახურებოდეს გოგონებისა და ქალების აღჭურვას სქესის შერჩევაზე უარის თქმისთვის საჭირო შესაძლებლობებით, ხოლო ბიჭებისა და მამაკაცების აღჭურვას შესაძლებლობებით, რომლებიც უზრუნველყოფს საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის დამყარებისათვის საჭირო ნორმებისა და ქცევების ცვლილებისადმი მათ მხარდაჭერას.

ტაბულა 2: რას ნიშნავს ცვლილების თეორია?

ცვლილების თეორია წარმოადგენს ლოგიკურ მოდელს, რომელიც გვეხმარება სიტუაციის ანალიზში და პოლიტიკისა და ინტერვენციის მიზნით გატარებულ ღონისძიებებსა, შუალედურ და საბოლოო შედეგებსა და ზემოქმედებას შორის კავშირის დადგენაში. იგი ასევე ეხმარება მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელ პირებს აწარმოონ გაანგარიშებები და გარე ფაქტორების კვლევა, რომელთა კონტროლიც აუცილებელია, პროგრამის ზემოქმედების შეფასების დროს. უფრო კონკრეტულად, მოცემულ შემთხვევაში, ცვლილების თეორია დაგვეხმარება გავაცნობიეროთ და წინასწარ განვსაზღვროთ თუ ინტერვენციის შედეგად როგორ გახორციელდება დამოკიდებულებებისა და ქცევის შეცვლა, რომლებიც უკავშირდება გენდერული ნიშნით სქესის შერჩევას, ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭების მიმართულებით არსებული ზეწოლის შერბილება და, საბოლოო ჯამში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევის გამოსწორება.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, სქესის შერჩევის პრაქტიკა დამკვიდრებულია რიგ ქვეყნებსა და საზოგადოებებში, აზიის, კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებიდან და საზოგადოებებიდან თითოეულს საკუთარი უნიკალური სოციო-კულტურული და პოლიტიკური მახასიათებლები გააჩნია, ამ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ტერიტორიებს მაინც აერთიანებს გარკვეული მსგავსებები, რომლებიც ხელს უწყობს სქესის შერჩევის პრაქტიკას. ზოგადად, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა მჭიდროდ უკავშირდება ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭების მყარად გამჯდარ დამოკიდებულებას, შობადობის კლების ტენდენცია და რეპროდუქციულ ტექნოლოგიებზე წვდომა საშუალებას აძლევს მშობლებს შეიტყონ ნაყოფის სქესი და უარი თქვან გოგონას გაჩენაზე პრენატალურ ეტაპზე (ამის თაობაზე დაწვრილებითი მსჯელობა იხილეთ ქვემოთ). სქესის შერჩევის პრაქტიკა, დასაწყის

ეტაპზე, უფრო მეტად არის გავრცელებული განათლების მაღალი დონის მქონე და ეკონომიკურად შეძლებულ წყვილებში.¹

აღნიშნული ტენდენციის მიზეზები ოჯახის პატრიარქალური სისტემიდან მომდინარეობს. რაღაც გაგებით, ეკონომიკურად შეძლებული ოჯახები „მეტს კარგავენ“, თუ მათ ვაჟი არ ჰყავთ. გოგონები ქორწინდებიან და საცხოვრებლად გადადიან სხვა ოჯახებში და, შესაბამისად, ვერ ახერხებენ საკუთარი წვლილის შეტანას მშობლიური ოჯახის ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფაში. მაშინ, როცა ვაჟები ოჯახის ხაზს აგრძელებენ, მემკვიდრეობით იღებენ ოჯახის კუთვნილ ქონებას და ხანდაზმულ მშობლებთან აგრძელებენ ცხოვრებას. თუმცა, აღნიშნული ნორმები და ადათ-წესები მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდის. აზიის მთელ რიგ ქვეყნებში (მაგ. სამხრეთ კორეასა ან ჩინეთში), ქალიშვილების განათლებასა და ქორწინებასთან დაკავშირებული გაზრდილი დანახარჯები, მათ მშობლებისთვის უფრო მიმზიდველს ხდის. საერთო ჯამში, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ სოციო-ეკონომიკური სტაბილურობისა და ზრდის პარალელურად იკლებს ოჯახებში სქესის შერჩევის ტენდენცია, რაც სათავეს აიღებს მზარდი, განათლებული საშუალო ფენებიდან.

არსებული სიტუაცია: გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა და სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევები

გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საფუძველს წარმოადგენს ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭებისა და გოგონებისა და ზოგადად ქალების არასათანადოდ დაფასების მყარი ტენდენცია. ორივე ტენდენცია სათავეს იღებს ტრადიციული კულტურული ღირებულებებიდან და გაბატონებული პატრილინეალური წესიდან, რომელიც განაპირობებს იმას, რომ მშობლებისთვის ვაჟები უფრო სასურველია ვიდრე გოგონები და, შესაბამისად, მამაკაცები უფრო მაღალი სტატუსითა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მეტი ხმის უფლებით სარგებლობენ, ვიდრე ქალები. გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ და ცნობილ გამომწვევ ფაქტორებს განეკუთვნება ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭება, შობადობის კლება და რეპროდუქციულ

¹ აღნიშნული ახასიათებს მხოლოდ გენდერული ნიშნით სქესის შერჩევას და არ ახასიათებს სხვა საზიანო პრაქტიკას, როგორცაა მაგალითად, ბავშვთა ქორწინება, რომელიც მეტად გავრცელებულია ოჯახებში, რომლებსაც ნაკლები ეკონომიკური შესაძლებლობები აქვთ და რომლის წევრების განათლების დონეც დაბალია. მიუხედავად იმისა, რომ გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა უფრო გავრცელებულია ქალაქის ტერიტორიებზე, არსებობს გამონაკლისებიც, მაგალითად, ჩინეთი, სადაც აღნიშნული პრობლემა უფრო მწვავედ დგას სოფლის ტერიტორიებზე, ვიდრე ქალაქის ტერიტორიებზე.

ტექნოლოგიებზე წვდომა (Guilmoto 2009). მაშინ როცა ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭება წარმოადგენს სქესის შერჩევის ძირითად გამომწვევ ფაქტორს, სქესის შერჩევის პრაქტიკის დამკვიდრება ხდება მაშინ, როდესაც მცირდება შობადობა და იზრდება წვდომა რეპროდუქციულ ტექნოლოგიებზე.

ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭება შესაძლებელია გაგებული იქნას როგორც „ინსტიტუტი, რომელსაც საფუძვლად უდევს მთელი რიგი ის ღირებულებები და ნორმები, რომელთა ჩამოყალიბება და შემოღებაც ხდება სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ფაქტორთა შორის რთული ინტერაქციის შედეგად, და რომელიც არ რჩება დამოკიდებულებების დონეზე, არამედ მკვიდრდება იმ ქცევის საშუალებით, რომელიც ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭებასა და გოგონების არასათანადოდ დაფასებას გულისხმობს“ (Eklund 2011, 30). იგი სათავეს იღებს ოჯახის პატრილინეალური და პატრილოკალური სისტემებიდან, რომლებიც გულისხმობს, რომ ქონებისა და პრივილეგიების გადაცემა უნდა გახორციელდეს მამრობითი სქესის ხაზით და სადაც მშობლები ცხოვრობენ თავიანთ ერთ-ერთ დაქორწინებულ ვაჟთან ერთად.

გარდა ამისა, შობადობის კლების ტენდენცია ზრდის ზეწოლას ქალებზე, რომ მათ სასურველი ვაჟი იყოლიონ, შედარებით მცირე რაოდენობის შვილებს შორის, ეს უკანასკნელი კი არის მცირე ოჯახის შესახებ წყვილების ნებაყოფლობითი გადაწყვეტილების ან შობადობაზე დაწესებული შეზღუდვების შედეგი. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ოჯახებს არ აქვთ სქესის შერჩევის შესაძლებლობა, ორშვილიან ოჯახებში ვაჟის გარეშე დარჩენის ალბათობა უფრო მაღალია, ვიდრე სამ ან ოთხშვილიან ოჯახებში.²

და ბოლოს, თანამედროვე ტექნოლოგიებზე წვდომამ, წყვილებს პრენატალური სქესის შერჩევის პრაქტიკის ატაცების საშუალება მისცა. ულტრაბგერითი კვლევა ფართოდ ხელმისაწვდომი გახდა 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, რაც საშუალებას აძლევს ქალებს შეიტყონ ნაყოფის სქესი და იმ შემთხვევაში, თუ ნაყოფი მდედრობითი სქესის არის, შეწყვიტონ ორსულობა. განვითარებულ ქვეყნებში პრენატალური სქესის შერჩევის პრაქტიკა ჩაანაცვლა ჩასახვამდე შობის სქესის შერჩევის პრაქტიკამ, რომელსაც მისდევენ ის წყვილები, რომლებსაც ამ მკირადღირებული მომსახურებით სარგებლობის საშუალება აქვთ.

გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის აღნიშნულმა სამმა ფაქტორმა დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევამდე მიგვიყვანა, რომელიც

² ვაჟის გარეშე დარჩენის ალბათობა 6.1%-ზე დაბალია იმ ოჯახებისთვის, რომლებსაც ოთხი შვილი ჰყავთ, მაშინ როცა ოთხი ორშვილიანი ოჯახიდან ერთ ოჯახს მხოლოდ გოგონები ჰყავს (Gietel-Basten, Casterline, and Choe 2018).

გაცდა ბიოლოგიურ ნორმას, რომლის მიხედვითაც ყოველ 100 ახლშობილ გოგონაზე უნდა მოდიოდეს 105 ახალშობილი ვაჟი, რამაც პირველად აზიის სხვადასხვა ტერიტორიაზე და სხვადასხვა საზოგადოებებს შორის იჩინა თავი (Attané and Guilmoto 2007; Attané and Véron 2005), ხოლო შემდეგ კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპაში (Duthé et al. 2012; Guilmoto and Duthé 2013).

მიღებული ზომები: ტექნიკური მხარდაჭერა, მომზადება და ცოდნის გაზიარება

გლობალური პროგრამა ითვალისწინებს მრავალფეროვან ზომებს, არსებული სიტუაციის გამოსასწორებლად. აღნიშნული ზომები მოიცავს კვლევას, ტექნიკურ მხარდაჭერას, კადრების მომზადებას, ადვოკატირებასა და პოლიტიკურ დიალოგს, განათლებას და ცოდნის გაზიარებას, რაც ემსახურება დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებას, პოლიტიკასთან დაკავშირებული ინტერვენციების სხვადასხვა დონეზე. პროგრამა ითვალისწინებს ზომების გატარებას გლობალურ, რეგიონულ, ეროვნულ და დეცენტრალიზებულ დონეებზე, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრობლემის მოგვარებისას, მრავალდონიანი და მრავალსექტორული კოორდინაციის გაფართოვების მიზნით. აღნიშნული ზომების შესახებ კონკრეტული ინფორმაცია მოცემულია დოკუმენტში, რომელიც შეიცავს „ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭებისა და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის: აზიისა და კავკასიის შერჩეულ ქვეყნებში დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის გაუმჯობესების გლობალურ პროგრამასთან“ დაკავშირებულ სამოქმედო გეგმას (ევროკავშირი, 2015 წ.).

შუალედური და საბოლოო შედეგები: ფართო ცოდნის ბაზა, პოლიტიკა, პროგრამები და პარტნიორობა

აღნიშნული გლობალური პროგრამის საბოლოო შედეგები შეიძლება შეჯამდეს როგორც ცოდნის გარღმავება სრლყოფილი პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებისა და პარტნიორობის დამყარების მიზნით, რომლებიც ემსახურება სქესის შერჩევასთან დაკავშირებული საერთო პრობლემის მოგვარებას. გლობალური ძალისხმევის კონკრეტული შედეგები მოიცავს შემდეგს:

- 1) ფართოვდება სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევებთან დაკავშირებული ცოდნის ბაზა, ეროვნულ და რეგიონულ დონეზე წარმოებული დემოგრაფიული, სოციოკულტურული, ოპერაციული და პოლიტიკის კვლევის საფუძველზე.
- 2) ძლიერდება და ფართოვდება, სქესის შერჩევის პრაქტიკის წინააღმდეგ,

მრავალსექტორული და მრავალი დაინტერესებული მხარის მონაწილეობით წარმოებული პოლიტიკისა და პროგრამების ადვოკატირების, განვითარების, გახორციელებისა და მონიტორინგისა და შეფასების შესაძლებლობები.

3) ინტენსიურად მიმდინარეობს ინფორმაციის, გამოცდილებისა და ინსტრუმენტების გაცვლა, იმ ქვეყნებს შორის, რომლებშიც მწვავედ დგას აღნიშნული პრობლემა, სამხრეთ-სამხრეთისა და სამხრეთი თანამშრომლობის საშუალებით (პარტნიორობა).

რაც შეეხება შუალედურ შედეგებს, ამ თვალსაზრისით გლობალური პროგრამის მიზანს წარმოადგენს: კვლევების სტრუქტურისა და კადრების მომზადების ინსტრუმენტების შემუშავება და დახვეწა; მონაცემთა და ტენდენციათა ანალიზისა და მულტიდისციპლინარული კვლევების მხარდაჭერა; კვლევების შედეგების გაზიარება და გავრცელება; ტექნიკური მხარდაჭერა კანონებისა და პოლიტიკის შემუშავება/რეფორმირების საქმეში; ეროვნული და რეგიონული პარტნიორობის შესაძლებლობების გაფართოვება, პროგრამის გახორციელებისა და მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით; და სამხრეთ-სამხრეთისა და სამხრეთი თანამშრომლობისათვის ინსტიტუციური მექანიზმის შექმნა და შესაძლებლობების გაფართოვება.

ზემოქმედება: გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის შემთხვევათა შემცირება

გლობალური პროგრამის ძირითადი მიზანია მტკიცებულებებზე დაფუძნებული იმ ეროვნული პოლიტიკის და პროგრამების გაძლიერება, რომლებიც ემსახურება ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭების, გოგონების არასათანადოდ დაფასებისა და გენდერული უთანასწორობის პრობლემების აღმოფხვრას, რაც საფუძვლად უდევს გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის ტენდენციის აღზევებას აზიისა და კავკასიის ქვეყნებში. აღნიშნული პოლიტიკის, მასთან დაკავშირებული პროგრამებისა და ამ მიმართულებით პარტნიორობის მოსალოდნელი ზემოქმედება, საბოლოო ჯამში, არის გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრაქტიკის აღმოფხვრაში გარკვეული წვლილის შეტანა.

საფუძვლად გამოყენებული მოსაზრებები და გარე ფაქტორები

აღნიშნული მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვი ეფუძნება ორ ძირითად მოსაზრებას: ა) ცოდნის ბაზისა და პოლიტიკის შესაძლებლობების გაფართოვებით შესაძლებელია

მიღწეული იქნას ქვევის შეცვლა და, შედეგად, სქესის შერჩევის ტენდენციის შერბილება, და ბ) შესაძლებელია სხვა გარე ფაქტორების (მაგ. რელიგიური, სოციო-ეკონომიკური, პოლიტიკური ან ტექნოლოგიური ფაქტორების) კონტროლი.

გლობალური პროგრამის სამოქმედო გეგმა მოიცავს სხვა მოსაზრებებსაც იმ აუცილებელ პირობებთან დაკავშირებით, რომლებიც პროგრამის მიზნების მიღწევისთვის არის საჭირო (ევროკავშირი, 2015 წ.); ეს პორიბებია:

- იმ ქვეყნებში, სადაც მწვავედ დგას აღნიშნული პრობლემა, არსებობს ამ პრობლემებთან გამკლავებისათვის მზადყოფნა და პოლიტიკური ნება;
- პროგრამაში მონაწილე ქვეყნები მზად არიან ურთიერთდახმარებისათვის, ურთიერთმხარდაჭერისა და პარტნიორობისათვის, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის მიზნით ინიციატივების დანერგვის მიმართულებით;
- აზიისა და კავკასიის ის ქვეყნები, სადაც მწვავედ დგას აღნიშნული პრობლემა, მზად არიან იმ კანონების, პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმების დასანერგად, რომლებიც ემსახურება გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციას; და
- საერთაშორისო საზოგადოება, განსაკუთრებით კი დონორები, მზად არიან მხარი დაუჭირონ მოცემული გლობალური პროგრამის გახორციელებას.

გენდერული ნიშნით სქესის შერჩევისა და მასთან დაკავშირებული ინტერვენციების მონიტორინგი და შეფასება

წინამდებარე ჩარჩოს ძირითად საკითხს წარმოადგენს გენდერული ნიშნით სქესის შერჩევისა და მასთან დაკავშირებული ინტერვენციების მონიტორინგი და შეფასება. მოცემულ ნაწილში განხილულია მონიტორინგისა და შეფასების რეკომენდებული ცვლადები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას, როდესაც წარმოებს გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის მიმართულებით გახორციელებული ინტერვენციის შეფასება. მონიტორინგისა და შეფასების თითოეულ ცვლადს თან ერთვის მაჩვენებლების რიგი, რომლებიც ექვემდებარება გაზომვას. ჩვენ გთავაზობთ აღნიშნულ მაჩვენებლებს, მათი განმარტებებისა და გამოანგარიშების მეთოდების თანხლებით. გარდა ამისა, ჩვენ გთავაზობთ რეკომენდაციებს ეროვნული მაჩვენებლების შემუშავებასთან დაკავშირებით და განვიხილავთ მონაცემთა ხელმისაწვდომ წყაროებსა და მათ სანდოობას. ამავე ნაწილში განხილულია მონიტორინგის, ანგარიშების წარმოებისა და შეფასების სტრუქტურათა სტანდარტები. და ბოლოს, ჩვენ გთავაზობთ რეკომენდაციებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების მიმართულებით და რეკომენდაციებს პროგრამის გახორციელებაზე და მის შეფასებაზე პასუხისმგებელი პირებისათვის.

მონიტორინგისა და შეფასების ცვლადები

გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის პროგრამების გლობალურ და ეროვნულ დონეზე მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, საჭიროა შემდეგი ცვლადების გამოანგარიშება: ა) სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევები; ბ) გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის გამომწვევი ფაქტორები/ძირითადი მიზეზები; და გ) პოლიტიკა და ინტერვენციები. აღნიშნული ცვლადები და მათთან დაკავშირებული კონკრეტული მაჩვენებლები აღწერილია ქვემოთ.

სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევა

გაზომვადი მაჩვენებლების პირველი ნაკრები უკავშირდება სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევებს და იძლევა ინფორმაციას გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის ხარისხზე, ვარიაციებსა და ტენდენციებზე. გენდერული ნიშნით სქესის

შერჩევა, როდესაც მას მასშტაბური ხასიათი აქვს, თავს იჩენს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევაში და ბავშვებში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევაში. როდესაც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებელი აღემატება ბიოლოგიურ ნორმას, ე.ი. აჭარბებს 105-106 ახალშობილ ბიჭს ყოველ 100 ახალშობილ გოგონაზე, იგი გვამლევს ინფორმაციას პრენატალური გენდერული დისკრიმინაციის ხარისხზე. გარდა ამისა, ბავშვებში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებელი გვამლევს ინფორმაციას პრენატალური და პოსტნატალური დისკრიმინაციის ერთიანი ზემოქმედების შესახებ. პოსტნატალური დისკრიმინაცია გულისხმობს გოგონებზე არასათანადოდ ზრუნვას, მათ არასათანადოდ გამოკვებას ან ახალშობილთა მკვლელობას, რასაც შედეგად, ჩვეულებრივ 5 წლამდე ასაკის ბავშვებში, გოგონებს შორის ბავშვთა მოკვდაობის მაღალი მაჩვენებელი მოჰყვება. ჩვენ გირჩევთ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობისა და ბავშვებში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ტენდენციებზე მკაცრი მონიტორინგის დაწესებას, უმჯობესია დიფერენცირებულ დონეებზე (მაგ. რეგიონების, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის, განათლების დონის, ოჯახში ბავშვების რიგითობის და ა.შ. მიხედვით) და ასევე მკაცრი მონიტორინგის დაწესებას 5 წლამდე ასაკის გოგონებს შორის მოკვდაობის მაჩვენებლებზე. ეს ის მაჩვენებლებია (დაბადებამდე გაუჩინარებული გოგონები და 5 წლამდე ასაკის გაუჩინარებული გოგონები), რომლებიც ზემოქმედებს “გაუჩინარებული ქალების” პროცენტულ წილზე (Sen 2003). ეს იმ ქალთა რაოდენობაა, რომლებიც ცოცხლები იქნებოდნენ, რომ არა გენდერული დისკრიმინაცია, რომელიც უკავშირდება არა მხოლოდ სქესის შერჩევის პრაქტიკას, არამედ დისკრიმინაციის სხვა ფორმებსაც (მაგ. ქალთა მკვლელობა). ჩვენ ასევე გირჩევთ აწარმოთ 15 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში გაუჩინარებული გოგონების რაოდენობისა და პროცენტული წილის მკაცრი მონიტორინგი და აღრიცხვა. ფაქტობრივად, საჭიროა გლობალურად მიღებული მაჩვენებელი, სხვა საზიანო პრაქტიკის შემთხვევებში მიღებული მაჩვენებლების მსგავსად (იხ. ტაბულა 3).

ტაბულა 3: გაუჩინარებული გოგონების, ბავშვთა ქორწინებისა და ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება/მოკვეთის გლობალური სტატისტიკა

2015 წლის მდგომარეობით, დაახლოებით 136 მილიონი ქალია გაუჩინარებული, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის მიზეზით (Bongaarts and Guilmo 2015, 266). არსებული პროცენტული წილისა და მომავალში აღნიშნული ტენდენციის ზრდის პროგნოზის გათვალისწინებით, გაუჩინარებული ქალების გლობალური მაჩვენებლის სტანდარტიზაცია მოხდება, ბავშვთა ქორწინებისა და ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება/მოკვეთის მაჩვენებლების მსგავსად.

- *ბავშვთა ქორწინების* მაჩვენებელი: იმ ქალების პროცენტული წილი (ქალების საერთო რაოდენობაში), რომლებიც ქორწინდებიან 18 წლამდე ასაკში.

- *ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება/მოკვეთის* მაჩვენებელი: იმ ქალების პროცენტული წილი (ქალების საერთო რაოდენობაში), რომელთა შემთხვევაშიც წარმოებს ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება/მოკვეთა.
- *გაუჩინარებული ქალების* მაჩვენებელი: 15 წლამდე ასაკის გოგონათა პროცენტული წილი (15 წლამდე ასაკის გოგონების საერთო რაოდენობაში), რომლებიც გაუჩინარებულად მიიჩნევიან, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის გამო.

შენიშვნა: დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ქვევით: მაჩვენებელი 1.4 - გაუჩინარებული ქალები.

გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის გამომწვევი ფაქტორები

გაზომვადი მაჩვენებლების მეორე ნაკრები უკავშირდება სქესის შერჩევის გამომწვევ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობს გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრაქტიკის დამკვიდრებას, კონკრეტულად ეს ფაქტორებია ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭება, შობადობის შემცირება და ტექნოლოგიები (იხილეთ წინამდებარე პუბლიკაციის თავი “არსებული სიტუაცია: გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა და სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევები”, და, ასევე, Guilмотo 2009). მოცემული ფაქტორების გაზომვა და მათი მაჩვენებლების გამომწვევების მნიშვნელოვანია, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებისათვის, თუმცა, აღნიშნულ მიდგომას კონკრეტული ხარვეზებიც გააჩნია. შესაბამისად, საჭიროა გათვალისწინებული იქნას შემდეგი: პირველყოვლისა, ჩვენ ძირითადად ერთმანეთისაგან განვასხვავებთ განცხადებულ და გამოვლენილ ვაჟისადმი უპირატესობას. აქედან, პირველი უკავშირდება წყვილების მიერ განცხადებულ უპირატესობას (მაგ. შვილების იდეალური გენდერული შემადგენლობა), ხოლო მეორე უკავშირდება გამოვლენილ უპირატესობებს, როდესაც მანამდე გაჩენილი ბავშვების გენდერული შემადგენლობა ახდენს გავლენას შემდგომ რეპროდუქციულ ქცევაზე და ოჯახის შემადგენლობაზე. როგორც წესი, გამოვლენილი ვაჟისადმი უპირატესობა გენდერული მიკერძოების უფრო ძლიერი მაჩვენებელია, ვიდრე განცხადებული ვაჟისადმი უპირატესობა. გარდა ამისა, ვაჟისადმი უპირატესობის მსგავსად, ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ განცხადებული რეპროდუქციული არჩევანი და გამოვლენილი რეპროდუქციული ქცევა. აქედან, პირველი გულისხმობს მშობლების ან რეპროდუქციული ასაკის ქალების (15-49 ასაკობრივი ჯგუფის) მიერ განცხადებულ ბავშვების იდეალურ რაოდენობას, ხოლო მეორე გულისხმობს შობადობის ფაქტობრივ მაჩვენებელს (მაგ. შობადობის ჯამობრივ კოეფიციენტს), რომელიც, როგორც წესი, უფრო სანდო ინფორმაციას იძლევა, ვიდრე განცხადებული რეპროდუქციული არჩევანი. და ბოლოს, ტექნოლოგიების მონიტორინგი გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი და იგივე მომსახურება,

ჩვეულებრივ, გამოიყენება მნიშვნელოვანი პრენატალური სამედიცინო შემოწმებების მიზნით, ხოლო იშვიათად, სოციალურად და სამართლებრივად საეჭვო პრაქტიკისათვის, როგორცაა გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, კვლევების შემუშავება უნდა მოხდეს ყურადღებით, ყველა შესაძლო ფაქტორის გათვალისწინებით, და, ასევე, საჭიროა პილოტირება, რათა თავიდან იქნას არიდებული ისეთი დარღვევები, როგორცაა ინფორმაციული მიკერძოებულობა.

პოლიტიკა და პროგრამები

გაზომვადი მაჩვენებლების მესამე ნაკრები უკავშირდება (პოლიტიკის მიმართულებით) ინტერვენციებს, რომლებიც უშუალოდ ან ირიბად მიმართულია სქესის შერჩევის პრაქტიკის აღმოფხვრისაკენ. პოლიტიკის მიმართულებით ინტერვენციის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს რეგულაციები, რომლებიც ემსახურება გენდერული დისკრიმინაციის აღკვეთას, სქესის შერჩევისა და აბორტის პრაქტიკის აღკვეთას, ადვოკატირებასა და ცნობადობის ამაღლებას, სქესის შერჩევასთან დაკავშირებული ქცევისა და დამოკიდებულებების შეცვლის მიზნით, და, აგრეთვე, იმ ოჯახების დახმარების მიზნით წახალისებების დაწესებას, რომლებიც გოგონებს ზრდიან. აღნიშნულ ინტერვენციასთან დაკავშირებით, ცვლადები (და შესაბამისი მაჩვენებლები) დაყოფილია შემდეგ ქვეჯგუფებად: საზოგადოების მობილიზაცია, ინფორმაცია და საგანმანათლებლო კამპანიები (ინფორმაცია, განათლება, კომუნიკაცია), მომსახურების მიწოდება (რომელიც ძირითადად გულისხმობს რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მომსახურებას), კანონები და პოლიტიკა და საერთაშორისო თანამშრომლობა.

მონიტორინგისა და შეფასების ცვლადები შეგნებულად დავყავით ზემოთ აღწერილ სამ კატეგორიად (სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევა, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის გამომწვევი ფაქტორები და პოლიტიკა და პროგრამები), რადგან მსგავსი კატეგორიები ეროვნულ კონტექსტზე მორგების უფრო ფართო შესაძლებლობას იძლევა. ქვეყნებს შორის მკვეთრი განსხვავება არსებობს სოციალურ-დემოგრაფიული და პოლიტიკური კონტექსტის თვალსაზრისით. აღნიშნული განსხვავება თვალსაჩინოა იმ ექვს ქვეყანას შორისაც, რომლებიც პარტნიორები არიან მოცემული გლობალური პროგრამის ფარგლებში. ზოგიერთ ქვეყანაში ჩვენს მიერ განხილული სამივე ცვლადი დომინირებს, და ამ ქვეყნებში აშკარაა და დოკუმენტურად არის დადასტურებული, რომ გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის გამომწვევი ფაქტორები დაედო საფუძვლად დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევას, და მთავრობებმა ამ პრობლემის დაძლევის პოლიტიკა შეიმუშავეს და შეუდგნენ მის გატარებას. მაგალითად, ვიეტნამი ან სომხეთი წარმოადგენს ქვეყნებს, სადაც სამივე ცვლადის გამომწვევებია შესაძლებელი. სხვა ქვეყნებმა მხოლოდ ბოლო დროს შეძლეს

დაეფიქსირებინათ სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევა და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის გამომწვევი ფაქტორები, და რაც შეეხება ამ ქვეყნების მთავრობებს, მათ (ჯერ) არ აქვთ შემუშავებული ინტერვენციის ფორმები. ამ ქვეყნების მაგალითად გამოდგება ნეპალი, საქართველო ან აზერბაიჯანი, სადაც მთავრობები შესაძლებელია მეტად დაინტერესდნენ სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევისა და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის გამომწვევ ფაქტორთა მონიტორინგით, ვიდრე პოლიტიკის შემუშავებით. მესამე კატეგორიას განეკუთვნება ქვეყნები, სადაც (ჯერ) არ გამოვლენილა დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევა, თუმცა, შესაძლებელია ეს ქვეყნები დადგნენ ამ პრობლემის წინაშე, შობადობის შემცირებისა და ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაზრდის პარალელურად. ამ ქვეყნების მთავრობებს (ჯერ) არ მიუღიათ სათანადო ზომები, თუმცა, მათ შესაძლოა მოისურვონ გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის გამომწვევ ფაქტორებზე მკაცრი მონიტორინგის დაწესება, მაგალითად, როგორც ამას ბანგლადეშის შემთხვევაში ჰქონდა ადგილი. მაშასადამე, მონიტორინგისა და შეფასების ცვლადების სამ კატეგორიად დაყოფა საშუალებას აძლევს ქვეყნებს მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო საკუთარი ქვეყნის კონკრეტულ საჭიროებებსა და კონტექსტს მოარგონ. აღნიშნული ცვლადები უკავშირდება კონკრეტულ მაჩვენებლებს, რომლებიც ქვევით არის მოცემული.

მონიტორინგისა და შეფასების ცვლადების მაჩვენებლები

სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევების მაჩვენებლები

მაჩვენებლები	განმარტება/ გამოანგარიშება	კომენტარი	მონაცემთა წყაროები
1.1. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა	მოსახლეობაში, დაბადებულ ვაჟებსა და გოგონებს შორის თანაფარდობა (ყოველ 100 ახალშობილ გოგონაზე დაანგარიშებული). დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა=(დაბადებული ვაჟების რაოდენობა / დაბადებული ქალების რაოდენობა) * 100. ზოგადად, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა, დიფერენცირებული რიგითობის, რეგიონების, ქალაქში/სოფლად მაცხოვრებლების, ეთნიკური წარმომავლობის, განათლების დონის მიხედვით.	დაბადების რეგისტრი, მოსახლეობის აღწერის მონაცემები, ქვეყნის მასშტაბით წარმოებული დემოგრაფიული კვლევები (ჯანმრთელობის დემოგრაფიული კვლევა, მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა). ამ წყაროების არარსებობის შემთხვევაში, გაეროს მსოფლიო მოსახლეობის პერსპექტივები. ³	დაბადების რეგისტრი, მოსახლეობის აღწერის მონაცემები, ქვეყნის მასშტაბით წარმოებული დემოგრაფიული კვლევები (ჯანმრთელობის დემოგრაფიული კვლევა, მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა), გაეროს მსოფლიო მოსახლეობის პერსპექტივები. ³
1.2. დაბადებამდე გაუჩინარებული გოგონები	დაბადებამდე გაუჩინარებული გოგონების რაოდენობა და პროცენტული წილი, ქვეყნების, ასაკისა და წლების მიხედვით. მაგ. თუ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა 110-ს შეადგენს (ნაცვლად 105-სა), დაბადებამდე გაუჩინარებული გოგონების რაოდენობაა 5 - ყოველ 100 ახალშობილ გოგონაზე.	გამოანგარიშება წარმოებს დაბადებული ბავშვების რაოდენობის მიხედვით, სქესთა შორის ფაქტობრივი (დაკვირვების შედეგად მიღებული) და მოსალოდნელი თანაფარდობის მაჩვენებლების გამოყენებით.	დაბადების რეგისტრი, მოსახლეობის აღწერის მონაცემები, ქვეყნის მასშტაბით წარმოებული დემოგრაფიული კვლევები (ჯანმრთელობის დემოგრაფიული კვლევა, მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა), გაეროს მსოფლიო მოსახლეობის პერსპექტივები.
1.3. გოგონების გადაჭარბებული მოკვდაობა, 5 წლამდე ასაკის მოსახლეობაში	სხვაობა გოგონების მოკვდაობის ფაქტობრივ (დაკვირვების შედეგად მიღებულ) და მოსალოდნელ რაოდენობებს შორის 5 წლამდე ასაკის მოსახლეობაში.	პოსტნატალური დისკრიმინაციის გამოანგარიშება, ახალშობილთა და ბავშვთა მოკვდაობის კონტექსტში	გარდაცვალების რეგისტრი, ქვეყნის მასშტაბით წარმოებული დემოგრაფიული კვლევები.
1.4 15 წლამდე ასაკის გაუჩინარებული გოგონები	15 წლამდე ასაკის გაუჩინარებული გოგონები, ქვეყნებისა და წლების მიხედვით. მოიცავს პრენატალური და პოსტნატალური დისკრიმინაციის შედეგებს.	გამოანგარიშებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ასაკობრივი სტრუქტურა, დაბადებისას სქესთა შორის ბუნებრივი რაოდენობრივი თანაფარდობის ვარიანტები, და მოკვდაობის მაჩვენებლები (Bongaarts and Guilmoto 2015).	გამოანგარიშება წარმოებს გაეროს მიერ მოსახლეობის შესახებ წარმოებული პროგნოზის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით.

³ გაეროს მსოფლიო მოსახლეობის პერსპექტივების მონაცემები წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის წყაროებიდან (მოსახლეობის აღწერა, დაბადების რეგისტრი და ჯანმრთელობის დემოგრაფიული კვლევა) მოპოვებულ მონაცემთა ნაკრებს და, შესაბამისად, არ არის მიჩნეული პირველ წყაროდ. მისი გამოყენება რეკომენდებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა წყაროები არ არის ხელმისაწვდომი. წინამდებარე კომენტარი ვრცელდება მოცემულ დოკუმენტში შესულ და გაეროს მსოფლიო მოსახლეობის პერსპექტივებზე გაცემულ ყველა მითითებაზე.

გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის გამომწვევ ფაქტორებთან დაკავშირებული მაჩვენებლები

2.1. ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭება			
2.1.1 განცხადებული ვაჟისადმი უპირატესობა	სამიზნე მოსახლეობის პროცენტული წილი, რომელიც აცხადებს რომ უპირატესობას ანიჭებს ვაჟებს ("მინდა მყავდეს სულ მცირე ერთი ვაჟი მაინც", "უფრო მეტი ვაჟი მინდა მყავდეს ვიდრე ქალიშვილი" და ა.შ.).	განცხადებული ვაჟისადმი უპირატესობის მაჩვენებლის უზუსტობა შესაძლოა უკავშირდებოდეს ნორმატიულ განცხადებებსა და შობადობის იდეალურ ჯამობრივი კოეფიციენტს.	ეროვნული დემოგრაფიული კვლევა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა
2.1.2. გამოვლენილი ვაჟისადმი უპირატესობა	იმ ქალების პროცენტული წილი, რომლებსაც n რაოდენობის შვილი ჰყავთ და აპირებენ კიდევ ერთი (n+1) შვილის ყოლას, ხელმძღვანელობენ რა შვილების გენდერული შემადგენლობით (მომდევნო ბავშვის გაჩენის ალბათობა (PPR)), რაც ავლენს ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭებას.	საჭიროა შობადობის რეგისტრისა ან მოსახლეობის აღწერის დეტალური მონაცემები, საჭიროა გაანგარიშების ულტრათანამედროვე უნარები	ეროვნული დემოგრაფიული კვლევები, მოსახლეობის აღწერის დაუმუშავებელი მონაცემები
2.2. რეპროდუქციული ქცევა			
2.2.1. განცხადებული რეპროდუქციული არჩევანი	ოჯახის იდეალური შემადგენლობა (ან შობადობის სასურველი ჯამობრივი კოეფიციენტი)	განცხადებული რეპროდუქციული არჩევანის მაჩვენებლის უზუსტობა შესაძლოა უკავშირდებოდეს ნორმატიულ განცხადებებს	ჯანმრთელობის დემოგრაფიული კვლევის მონაცემები და ეროვნული კვლევები
2.2.2. შობადობის დონე	შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი		ჯანმრთელობის დემოგრაფიული კვლევის მონაცემები, ეროვნული კვლევები და დაბადების რეგისტრი
2.3. ტექნოლოგია			
2.3.1. რეგისტრირებული ულტრაბგერითი კვლევის ცენტრები/აპარატები	რეგისტრირებული ულტრაბგერითი კვლევის ცენტრების/აპარატების რაოდენობა და პროცენტული წილი, ქვეყნების, რეგიონებისა და დროის მონაკვეთების მიხედვით.	ულტრაბგერითი კვლევების უმრავლესობა არ უკავშირდება გენდერული ნიშნით სქესის შერჩევას.	რეგისტრაციის ეროვნული სისტემა
2.3.2. ულტრაბგერითი კვლევები	იმ ქალების პროცენტული წილი, რომლებსაც უკანასკნელი ორსულობის დროს ჩატარდა ულტრაბგერითი კვლევა.		ჯანმრთელობის დემოგრაფიული კვლევის მონაცემები, ეროვნული კვლევები და სტატისტიკა
2.3.3. მშობლების ინფორმირებულობა ნაყოფის სქესის შესახებ	იმ ქალების პროცენტული წილი, რომლებიც მშობიარობამდე ფლობდნენ ინფორმაციას ნაყოფის სქესის შესახებ.		დემოგრაფიული კვლევები
2.3.4 აბორტის საშუალებებზე წვდომა	სამართლებრივი წვდომა აბორტზე	აბორტის ოფიციალური მიზეზი	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, გათმარების ინსტიტუტი.
2.3.5. აბორტის მაჩვენებელი	აბორტების რაოდენობა ყოველ 1 000 ცოცხლად დაბადებულ ბავშვზე	აბორტის შესახებ სტატისტიკა, ძალიან ხშირად არ არის ზუსტი.	ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემა, ჯანმო-ს/გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მონაცემები

პოლიტიკასა და პროგრამებთან დაკავშირებული მაჩვენებლები⁴

<p>3.1. საზოგადოების მობილიზაცია</p> <p>3.1.1. გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის მიზნით წარმოებული კამპანიები</p> <p>3.1.2. არასამთავრობო ორგანიზაციების მობილიზაცია გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის მიმართულებით</p> <p>3.1.3. გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრობლემა მედიაში</p>	<p>იმ თემების/საზოგადოებების პროცენტული წილი, რომლებშიც იკვეთება აღნიშნული პრობლემა და რომლებშიც ტარდება გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის კამპანიები.</p> <p>ახალგაზრდების/ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების პროცენტული წილი, რომლებიც ჩართულია რეპროდუქციულ უფლებებთან, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევასა და დაბადებისას სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობასთან დაკავშირებულ საკითხებში სამიზნე ჯგუფების მომზადების საქმეში.</p> <p>სქესის შერჩევის თემაზე მომზადებული მედია რეპორტაჟების რაოდენობა.</p>	<p>ადგილობრივი ხელმძღვანელებისა და ფართო საზოგადოების ჩართვა</p> <p>მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციები.</p>	<p>ანგარიშები ეროვნულ დონეზე პროგრამის გახორციელების შესახებ</p> <p>არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები</p> <p>მედიის ანგარიშები</p>
<p>3.2. ინფორმაცია, განათლება, კომუნიკაცია</p> <p>3.2.1. ნაყოფის სქესის გამეღვანება</p> <p>3.2.2. საზოგადოების ინფორმირებულობის დონე, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევების შესახებ</p> <p>3.2.3. გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის შედეგები</p> <p>3.2.4. სამართლებრივი შედეგები</p>	<p>იმ ადამიანთა პროცენტული წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები ვალდებული არიან (ა) მიაწოდონ მშობლებს ინფორმაცია ნაყოფის სქესის შესახებ და (ბ) დათანხმდნენ ორსულობის შეწყვეტაზე, იმ შემთხვევაში, თუ ნაყოფი, სქესის მიხედვით, არასასურველია მშობლებისათვის.</p> <p>იმ ადამიანთა პროცენტული წილი, რომლებიც ინფორმირებული არიან ქვეყანაში, რეგიონში და ა.შ. არსებული სქესის შერჩევის პრობლემის შესახებ.</p> <p>იმ ადამიანების პროცენტული წილი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ გამჭარბული გოგონები და ბიჭების ჭარბი რაოდენობა მომავალში ცუდად აისახება საზოგადოებაზე.</p> <p>იმ ადამიანების პროცენტული წილი, რომლებსთვისაც ცნობილია გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის მიზნით საზოგადოებაში გავრცელებული გზავნილები და ის სამართლებრივი შედეგები, რომლებიც უკავშირდება გენდერული ნიშნით სქესის შერჩევას.</p>	<p>საპოლოტე კვლევები, რომლებიც ემსახურება კვლევებსა და შესაბამის ანგარიშებში ხარვეზების თავიდან აცილებას. თვისობრივი მონაცემები საჭირო ინფორმაციას გვაწვდის იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება გზავნილებს, რომლებიც ემსახურება ინფორმირებას, განათლებასა და კომუნიკაციას და მათ საფუძველზე უნდა წარმოებდეს მომავალი კამპანიების დაგეგმვა.</p>	<p>კვლევები (რეკომენდებულია ინტერვენციამდე და ინტერვენციის შემდგომ წარმოებული და ინტერვენციის უზნეობა და საკონტროლო უზნეობი წარმოებული). საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, ქვეყნის მასშტაბით წარმოებული კვლევები</p>
<p>3.3. მომსახურების მიწოდება</p> <p>3.3.1. გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენცია ჯანდაცვის დაწესებულების დონეზე</p> <p>3.3.2. კანონმდებლობის შესახებ ინფორმირებულობის დონე</p> <p>3.3.3. სამედიცინო საბჭოს მხარდაჭერა</p> <p>3.3.4. სამედიცინო სასწავლო პროგრამების გადასინჯვა</p>	<p>იმ სამედიცინო დაწესებულებათა პროცენტული წილი, რომლებიც სარგებლობენ დოკუმენტურად დადასტურებული და შესაბამისად შესწორებული პროტოკოლით და თვალსაჩინოდ აქვთ გამოფენილი მასალა, რომელიც ემსახურება გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციასა და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის შესახებ კომუნიკაციას.</p> <p>ჯანდაცვის იმ მუშაკთა პროცენტული წილი, რომლებიც ინფორმირებული არიან გენდერული ნიშნით სქესის შერჩევასთან დაკავშირებული კანონების შესახებ.</p> <p>ეროვნული სამედიცინო ასოციაციები რომლებსაც (ა) გაკეთებული აქვთ განცხადება გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის შესახებ, და (ბ) გამოცემული აქვთ შესაბამისი სახელმძღვანელოები მედიცინის მუშაკთათვის.</p> <p>სამედიცინო განათლებაზე პასუხისმგებელი იმ დაწესებულებების პროცენტული წილი, რომელთა სასწავლო პროგრამებშიც ჩართულია გენდერული ნიშნით სქესის შერჩევასთან დაკავშირებული სამედიცინო და სამართლებრივი საკითხები.</p>	<p>მნიშვნელოვანია მონიტორინგის წარმოება, როგორც კერძო, ასევე საჯარო დაწესებულებებში, და როგორც ქალაქებში ასევე სასოფლო ტერიტორიებზე არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში, აღნიშნულ საკითხებზე სამედიცინო პერსონალის ცოდნის, დამოკიდებულებებისა და პრაქტიკის მონიტორინგის მიზნით.</p>	<p>პერიოდული ანგარიშები სამედიცინო დაწესებულებებისა და სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირების შესახებ</p> <p>ქვეყნის მასშტაბით წარმოებული კვლევები</p> <p>ეროვნული სამედიცინო საბჭოები</p> <p>პერიოდული ანგარიშები სამედიცინო სასწავლებლებში სასწავლო პროგრამების გადასინჯვის შესახებ</p>

<p>3.4. კანონი და პოლიტიკა 3.4.1. გენდერული ნიშნით სქესის შერჩევასთან/გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობა</p>	<p>კანონები, რომლებიც არეგულირებს გენდერულ თანასწორობასთან და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევასთან დაკავშირებულ საკითხებს: აბორტი, პერინატალური დიაგნოსტიკა, სქესის მიხედვით შერჩევითი აბორტი, პრეიმპლანტაციური გენეტიკური დიაგნოსტიკა (PGD), სამეცნიერო თანაბარი განაწილება, ოჯახი, თანაბარი დასაქმების შესაძლებლობები, თანაბარი სამუშაო პირობები და ა.შ.</p>	<p>რეკომენდებული მაჩვენებლები ადაპტირებას, მრავალფეროვან პოლიტიკურ კონტექსტზე მათი მიზნით.</p>	<p>საჭიროებს ეროვნულ მორგების ჯანდაცვისა და იუსტიციის სამინისტროები</p>
<p>3.4.2. გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენცია და არსებული ტენდენციის შერბილება</p>	<p>იმ საზოგადოებათა/თემთა პროცენტული წილი, რომელთაც გააჩნია (ა) გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციასთან და არსებული ტენდენციის შერბილებასთან დაკავშირებული წლიური გეგმა, სამიზნე ჯგუფები და ბიუჯეტი; და (ბ) სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის შემთხვევების შესახებ სათანადო უწყებებისათვის შესაბამისი ანგარიშების წარდგენის მონიტორინგს.</p>		<p>ეროვნული ანგარიშები პროგრამის გახორციელების თაობაზე</p>
<p>3.4.3. სპეციალურად მომზადებული სამართალდამცავი პერსონალი</p>	<p>სამართალდაცვის სფეროს სპეციალისტთა რაოდენობა, რომლებსაც გავლილი აქვთ სპეციალური მომზადება, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის შემთხვევებზე რეაგირების მიმართულებით, და სამართალდამცავი უწყებების რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობს ეროვნულ გეგმაში, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევასთან დაკავშირებული დარღვევების აღკვეთის მიმართულებით.</p>		<p>სამართალდაცვასთან დაკავშირებული პროტოკოლები</p>
<p>3.4.4. საჩივრები და პოლიციისათვის გადაცემული საქმეები</p>	<p>გენდერული ნიშნით სქესის შერჩევასთან დაკავშირებული და პოლიციისათვის შეტყობინებული შემთხვევების რაოდენობა და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევასთან დაკავშირებული და პოლიციის მიერ გამოძიებული საქმეების პროცენტული წილი.</p>		<p>პოლიციის მიერ წარდგენილი ანგარიშები</p>
<p>3.4.5. გენდერული ნიშნით სქესის შერჩევასთან დაკავშირებულ საქმეებზე წარმოებული საგამომიებლო მოკვლევები და სასამართლო საქმეების წარმოება</p>	<p>გენდერული ნიშნით სქესის შერჩევასთან დაკავშირებულ საქმეებზე სპეციალურად მომზადებულ სპეციალისტთა მიერ წარმოებული საგამომიებლო მოკვლევების რაოდენობა და პროცენტული წილი და მსგავს საქმეებზე წარმოებული სასამართლო პროცესების რაოდენობა.</p>		<p>საგამომიებლო მოკვლევებთან და სასამართლო საქმეების წარმოებასთან დაკავშირებული პერიოდული ანგარიშები</p>
<p>3.4.6. გოგონათა მხარდაჭერის სქემები</p>	<p>იმ ქალების რაოდენობა, რომლებსაც ჰყავთ ქალიშვილები და რომლებიც სარგებლობენ მხარდაჭერის სქემებით (მაგ. ფულადი გადარიცხვები კონკრეტული პირობებით, ნატურალური ფორმით მომსახურება, სესხები, შემნახველი ანაბრები გოგონებისთვის).</p>		<p>მხარდაჭერის სქემებთან დაკავშირებული ანგარიშები</p>

<p>3.5. საერთაშორისო თანამშრომლობა</p>			
<p>3.5.1. ფინანსური/ტექნიკური დახმარება</p>	<p>ჩრდილოეთ-სამხრეთის, სამხრეთ-სამხრეთისა და სამხრეთი ფინანსური თანამშრომლობა, რომელიც სქესის შერჩევის მავნე პრაქტიკის აღმოფხვრას ემსახურება.</p>	<p>აღნიშნული მაჩვენებლები გათვალისწინებული უნდა იქნას გლობალური პროგრამის მეორე ფაზის დაგეგმვისას.</p>	<p>ანგარიშები გლობალური პროგრამის წარმოების თაობაზე, დონორთა მიერ წარდგენილი ანგარიშები, პერიოდული ანგარიშები, პროგრამაში მონაწილე ქვეყნებში წარმოებული მონიტორინგის შესახებ</p>
<p>3.5.2. გამოცდილების გაზიარება საერთაშორისო დონეზე</p>	<p>გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციების რაოდენობა (ფორუმები, ტრენინგები, ვორკშოპები, მოწვეულ ექსპერტებთან შეხვედრები და ა.შ.).⁵</p>		
<p>3.5.3. საერთაშორისო ანგარიშები დაზარალების სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის შესახებ</p>	<p>იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებშიც მწვავედ დგას აღნიშნული პრობლემა და რომლებსაც გააჩნია ეროვნული სტატისტიკური გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფს დაზარალების სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობასთან და შესაბამის ინტერვენციებთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებას, მონიტორინგს და შესაბამისი ანგარიშების წარდგენას საერთაშორისო უწყებებისადმი.</p>		

4 წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ ქვეყნის მასშტაბით აღიარებული უნდა იყოს გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა და მისი პრევენციის მიზნით უნდა ტარდებოდეს კონკრეტული ღონისძიებები.

5 იგივე მაჩვენებელი გამოიყენება ქვეყნის დონეზეც.

ეროვნულ მაჩვენებელთა შემუშავებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

ზევით შემოგთავაზეთ მაჩვენებელთა ჩამონათვალი, რომელთა გამოყენებაც რეკომენდებულია, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის მიზნით, გლობალური და ეროვნული პროგრამების შემუშავებისას. აღნიშნული მაჩვენებლები დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად: ა) სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევა, ბ) გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის გამომწვევი ფაქტორები, და გ) პოლიტიკა და პროგრამები, რაც ემსახურება ამ მაჩვენებელთა ეროვნულ კონტექსტზე უკეთ მორგებას. მოცემული მაჩვენებლები მხოლოდ ორიენტირის სახით შეიძლება იქნას გამოყენებული და საჭიროა მათი მორგება ეროვნულ კონტექსტზე (პოლიტიკისა და მონაცემთა გათვალისწინებით) და იმ შეზღუდვებზე, რომლებიც კონკრეტული ქვეყნის კონტექსტს უკავშირდება. ქვევით გთავაზობთ დამატებით რეკომენდაციებს ეროვნული მაჩვენებლების შემუშავებასთან დაკავშირებით. ქვევით მოცემული განმარტებებს საფუძველად დაედო გაეროს ქალთა ორგანიზაციისა (2010 წ.), გეიჯისა და დუნის (2009 წ.) მიერ შემოთავაზებული განმარტებები, რომლებშიც ჩვენ საჭირო ცვლილებები შევიტანეთ, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციაზე მათი მორგების მიზნით.

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია გავეცნოთ მაჩვენებელთა სხვადასხვა საზომებს:

რაოდენობის გამოთვლა ესადაგება მარტივ რიცხვით ცვლადებს, მაგალითად, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის მიზნით წარმოებული კამპანიის სამიზნე ბენეფიციარების რაოდენობის განსაზღვრას.

გამოანგარიშება ესადაგება პროცენტის, პროცენტული წილის, დონის ან თანაფარდობის განსაზღვრას, როგორცაა მაგალითად, ქვეყანასა ან რეგიონში დაბადებული ვაჟებისა და გოგონების რაოდენობრივი თანაფარდობა (დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა) ან იმ სამიზნე პოპულაციის პროცენტული წილი, რომელიც აცხადებს, რომ მნიშვნელოვანია სულ მცირე ერთი ვაჟის/ერთი ქალიშვილის ყოლა.

კოეფიციენტი ესადაგება რთულ მონაცემს, რომელიც მრავლობით მაჩვენებელს მოიცავს, რომლის მაგალითებია, გენდერული უთანასწორობის კოეფიციენტი, გენდერული განვითარების კოეფიციენტი ან, ახლახანს შემოღებული მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული გენდერული კოეფიციენტი.

ზღვრული მაჩვენებელი აღნიშნავს რაიმე მოვლენის არსებობას ან არარსებობას, მაგალითად, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრობლემის მოგვარებისთვის

განკუთვნილი ეროვნული სამოქმედო გეგმის არსებობა.

მაჩვენებელთა სრულყოფილი საზომების შემუშავება უმნიშვნელოვანესია მონიტორინგისა და შეფასების ნებისმიერი ჩარჩოსთვის. სრულყოფილი საზომი გვიჩვენებს, თუ რომელ სიდიდეს ზომავს მაჩვენებელი. იგი უნდა იყოს **კვლავწარმოებადი**, იმ გაგებით, რომ ნებისმიერი სიდიდე, რომელიც მოცემული მაჩვენებლით იქნება განსაზღვრული, კონკრეტული წყაროდან მიღებულ მონაცემთა საფუძველზე, უნდა იძლეოდეს, სხვა დროს, იგივე წყაროდან მიღებულ მონაცემთა საფუძველზე განსაზღვრულ სიდიდეებთან შედარების საშუალებას.

გარდა ამისა, საჭიროა ერთმანეთისგან განვასხვავოთ პროცესისა და შედეგების მაჩვენებლები.

პროცესის მაჩვენებლები (ან ინტერვენციის მაჩვენებლები) გამოიყენება გატარებული ღონისძიებების რაოდენობისა და ტიპის მონიტორინგისთვის. მაგალითები მოიცავს მიწოდებული მომსახურების რაოდენობასა და ტიპებს; იმ პირების რაოდენობას, რომელთა მომზადებაც გახორციელდა; შექმნილი და გავრცელებული მასალების რაოდენობასა და ტიპებს; ან შემოწმებული სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობასა და პროცენტს.

შედეგების მაჩვენებლები გამოიყენება იმის შესაფასებლად, მოხერხდა თუ არა გატარებული ღონისძიებით დასახული მიზნების ან შედეგების მიღწევა. მაგალითები მოიცავს ცოდნის, დამოკიდებულებებისა და პრაქტიკის მაჩვენებლებს, რომელთა განსაზღვრაც ხორციელდება აზრის გამოკითხვით წარმოებული კვლევის საშუალებით; ან გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის კამპანიებში მონაწილე პირების მოსაზრებებს, მიღებული ინფორმაციის ხარისხისა და სარგებლიანობის შესახებ, რომლის გაზომვაც წარმოებს ინდივიდუალური ინტერვიუების საშუალებით.

შედეგების მაჩვენებლები შესაძლებელია დაიყოს შემდეგ დონეებად: შუალედური შედეგების მაჩვენებლები, საბოლოო შედეგების მაჩვენებლები და ზემოქმედების მაჩვენებლები:


- **შუალედური შედეგების მაჩვენებლები** ასახავს იმ ცვლილებებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება პროგრამის ფარგლებში გატარებულ ღონისძიებებს (მაგ. სამიზნე რეგიონში იმ ხელმძღვანელი პირების პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის მიზნით ორგანიზებული მომზადება გაიარეს და ამ მიმართულებით ცოდნა გაიღრმავეს). მამაკაცებისა და ქალების პასუხისმგებლობის ხარისხის კვლევისთვის, შესაძლებელია შესწავლილი იქნას სქესთა შორის სხვაობაც (მაგ. გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის შედეგების შესახებ მამაკაცების რა პროცენტი და ქალების რა პროცენტი ფლობს ინფორმაციას).
- **საბოლოო შედეგების მაჩვენებლები** ასახავს იმ ცვლილებას, რომელიც

პროგრამის ფარგლებში გახორციელებული ინტერვენციის შედეგად დგება საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში (მაგ. სამიზნე რეგიონში, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის მიმართულებით, მთავრობების მიერ მიღებული იმ გადაწყვეტილებებისა და გატარებული იმ ღონისძიებების რაოდენობა, რომლებიც ეფუძნება ადამიანის უფლებების დაცვის მიდგომას).

- **ზემოქმედების მაჩვენებლები** ასახავს პროგრამის ფარგლებში გახორციელებული ინტერვენციის ზემოქმედებას გრძელვადიან პერიოდში (მაგ. სამიზნე რეგიონში, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრაქტიკის გავრცელების დონე, რომელიც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებელზე აისახება).

მონიტორინგისა და შეფასების ეროვნული ჩარჩო უნდა მოიცავდეს როგორც პროცესის მაჩვენებლებს, ასევე შედეგის მაჩვენებლებს. გრაფიკზე 2 მოყვანილია აღნიშნული მაჩვენებლები და კონკრეტული მაგალითები.

გრაფიკი 2: მაჩვენებელთა ნიმუშები სხვადასხვა პროგრამულ დონეზე



დამატებით, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას მაჩვენებელთა ადეკვატური რაოდენობა, რაც იქნება ანგარიშვალდებულებისა და სიცხადის გარანტია (იხ. ტაბულა 4). ზოგადად, რეკომენდებულია ნაკლები, მაგრამ მკაფიო და კარგად ჩამოყალიბებული მაჩვენებლების შერჩევა, ვიდრე ძალიან ბევრი მაჩვენებლისა, რომელთა მონიტორინგი და შეფასება, საბოლოო ჯამში, სათანადოდ ვერ გახორციელდება. მაჩვენებლები უნდა იყოს ზუსტი, გაზომვადი, დროული და შესაბამისი, რაც უზრუნველყოფს ინტერვენციის პროცესისა და პროგრამის ფარგლებში მიღწეული შედეგების ადეკვატურ შეფასებას.

ტაბულა 4: რამდენი მაჩვენებელია საკმარისი?

- სულ მცირე ერთი ან ორი მაჩვენებელი თითო შედეგისათვის (რეკომენდებულია, სხვადასხვა წყაროდან მიღებულ მონაცემების გამოყენებით გამოანგარიშებული).
- სულ მცირე ერთი მაჩვენებელი ყოველი ძირითადი ღონისძიებისათვის (მაგ. კადრების მომზადება, ტელევიზიით გაშუქება).
- არაუმეტეს 8-10 მაჩვენებლისა, პროგრამის სამიზნე თითოეულ ტერიტორიაზე.
- გამოიყენეთ მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა სტრატეგიათა და სხვადასხვა მონაცემთა წყაროების ნაკრები.

წყარო: Gage and Dunn (2009)

და ბოლოს, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის პროგრამის ზემოქმედების ძირითადი მაჩვენებელი, დიდი ალბათობით, დაკავშირებული იქნება გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის გავრცელების დონისა და შემთხვევების შემცირებასთან, რაც აისახება დაბადებისას სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობაზე. თუმცა, იგი მოიცავს რამდენიმე გამოწვევას, რის გამოც საჭიროა უფრო მეტი მაჩვენებლის გამოყენება, იმის დასადგენად თუ რამდენად მუშაობს და რამდენად სწორი მიმართულებით მუშაობს კონკრეტული პოლიტიკა თუ პროგრამა. მაგალითად, ჩვენ არ შეგვიძლია უშუალო მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა შუალედურ დემოგრაფიულ შედეგებსა და ინტერვენციას შორის (იხ. ქვევით „ინტერვენციის დაკავშირება შედეგებთან“). გარდა ამისა, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობასთან დაკავშირებული ქცევის შეცვლას წლები სჭირდება და, შესაბამისად, მისი გაზომვაც მხოლოდ წლების შემდეგ არის შესაძლებელი. დემოგრაფიული ტენდენციები დროდადრო მერყეობს და მათი ზუსტად განსაზღვრა მხოლოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე პერიოდულად წარმოებული კვლევებით არის შესაძლებელი. და ბოლოს, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა სხვადასხვა მიმართულებითა და სხვადასხვა ტემპით განიცდის ცვლილებას, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას, შესაბამისი მიზნებისა და მაჩვენებლების შემუშავებისას (იხ. ტაბულა 5).

ტაბულა 5: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებლის ზრდა, თანაბარ ნიშნულზე შენარჩუნება და კლება


სქესთა შორის რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებელი შეიძლება გაიზარდოს, თანაბარ ნიშნულზე შენარჩუნდეს ან შემცირდეს. ქვევით მოცემულ გრაფიკზე 3 ნაჩვენებია დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებლის ცვლილება სამხრეთ კორეაში, ინდოეთსა და ვიეტნამში, 2000 წლიდან 2015 წლამდე პერიოდში, სამ-სამ წლიანი საშუალო მაჩვენებლების გამოყენებით, აღნიშნული მაჩვენებლის სხვადასხვა მიმართულებითა და ტემპით ცვლილების დემონსტრირების მიზნით. აღნიშნულ პერიოდში,

დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა, ვიეტნამში, ბუნებრივი დონიდან 111-მდე გაიზარდა, მხოლოდ ექვს წელში (რაც წელიწადში საშუალოდ 0.8-ით მეტი ბიჭის დაბადებას ნიშნავს, ყოველ დაბადებულ 100 გოგონაზე). რასაც მოჰყვა უფრო ნელი ტემპით ზრდა, კონკრეტულად, შემდგომი ექვსი წლის მანძილზე აღნიშნული მაჩვენებელი 111-დან მხოლოდ 113-მდე გაიზარდა (რაც წელიწადში საშუალოდ 0.3-ით მეტი ბიჭის დაბადებას ნიშნავს, ყოველ დაბადებულ 100 გოგონაზე).

იმ პერიოდში, როდესაც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებელი ზრდას განიცდიდა ვიეტნამში, ამ მაჩვენებელმა კლება იწყო ინდოეთში და თუ 2003-2005 წლებში იგი 113-ს შეადგენდა, მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში იგი 111-მდე შემცირდა. შემდეგი ათი წლის განმავლობაში, ინდოეთში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებელი თანაბარ ნიშნულზე შენარჩუნდა და უცვლელად შეადგენდა დაახლოებით 111 ახალშობილ ბიჭს ყოველ 100 ახალშობილ გოგონაზე. მოცემულ პერიოდში, სამხრეთ კორეაში აღნიშნული მაჩვენებლის კლების ტენდენცია დაფიქსირდა, და თუ 2000-იანი წლების დასაწყისში იგი 110-ს შეადგენდა, 15 წლის შემდეგ მან შეადგინა 105 ახალშობილი ვაჟი ყოველ 100 ახალშობილ გოგონაზე. წლიური კლების საშუალო მაჩვენებელი იყო 0.4-ით ნაკლები ვაჟის დაბადება, ყოველ დაბადებულ 100 გოგონაზე.

როგორც დავინახეთ, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებელი სხვადასხვა მიმართულებითა და განსხვავებული ტემპით იცვლება. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებლის საერთო მახასიათებელს, სხვადასხვა ქვეყანაში, წარმოადგენს მისი სწრაფი ტემპით ზრდა, შემდეგ ზრდის ტემპის შენელება, რასაც მოჰყვება თანაბარ ნიშნულზე შენარჩუნების ტენდენცია და, შემდეგ, სწრაფი ან ნელი ტემპით კლება. ის, რაც ჯერ-ჯერობით არსად დაფიქსირებულა, არის დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებელს კვლავ ზრდა, მას შემდეგ რაც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებელი თანაბარ ნიშნულზე შენარჩუნების პერიოდს გადის. ქვეყნებს შორის განსხვავება მხოლოდ იმაში ფიქსირდება, თუ რამდენ ხანს გასტანს თანაბარ ნიშნულზე შენარჩუნების პერიოდი და რა დრო სჭირდება მის ნორმალურ დონემდე შემცირებას.

გრაფიკი 3: დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა სამხრეთ კორეაში, ინდოეთსა და ვიეტნამში (2000-2015 წწ.)



წყარო: კორეა: KOSIS; ვიეტნამი: GSO; ინდოეთი: ნიმუშების რეგისტრაციის სისტემის მონაცემები გადანაგარიშებული ყოველ ახალშობილ 100 გოგონაზე ახალშობილ ვაჟთა რაოდენობაზე. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებლების ცვლილება მოცემულია სამსამ წლიანი საშუალო მაჩვენებლებით, დაუმუშავებელი მონაცემებით შექმნილი რთული სქემის მაქსიმალურად გამარტივების მიზნით.

გილმოტოს (2019 წ.) მიერ შემუშავებული ზოგადი წესის თანახმად, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებლის კლებასა და მის ნორმალიზებას მცირედით მეტი დრო სჭირდება, ვიდრე ამ მაჩვენებლის თავდაპირველ ზრდას. მაგალითად, სამხრეთ კორეაში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებელი ზედიზედ 15 წლის განმავლობაში (1980-1994 წწ.) იზრდებოდა, ვიდრე არ მიაღწია 115-ს, რის შემდეგაც მის ნორმალურ დონემდე ე.ი. 105-მდე კლებას 20 წელი (1995-2015) დასჭირდა. საქართველოში, აღნიშნული მაჩვენებელი 12 წლის განმავლობაში განიცდიდა ზრდას (1992-2004 წწ.) ვიდრე 115-ს არ გადააჭარბა, რის შემდეგაც მცირედით დიდი დრო დასჭირდა მის კლებას, ვიდრე არ მიაღწია ნორმალურ დონეს, 2017 წელს. ვიეტნამში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებელი 10 წლის განმავლობაში (2003-2013 წწ.) განიცდიდა ზრდას და ამჟამად იგი თანაბარ ნიშნულზეა შენარჩუნებული. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მას შემდეგ რაც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებელი იწყებს კლებას, მის ბუნებრივ დონემდე დასვლას 10-15 წელი სჭირდება (ვიეტნამის შემთხვევაში, აღნიშნული მაჩვენებელი ბუნებრივ დონეს სავარაუდოდ მიაღწევს 2030 წელს).

ზოგადი წესი ასევე გვთავაზობს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობასთან დაკავშირებული პროგნოზების გაკეთების საშუალებას, თუმცა პროგნოზის გაკეთებისას

საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა, ვინაიდან არსებობს უამრავი სხვა ფაქტორი, მაგალითად როგორცაა მოსახლეობის რაოდენობა და ის, თუ რამდენად ერთგვაროვანი ან მრავალფეროვანია საზოგადოება, რომელიც გავლენას ახდენს სქესთა შორის რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტზე, მოცემულ ქვეყანაში. შესაბამისად, ყველა ქვეყანაში შესწავლილი უნდა იქნას ამჟამად თუ წარსულში არსებული ტენდენციები, იმისათვის, რათა შესაძლებლობების ფარგლებში, ზუსტი პროგნოზი გაკეთდეს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის ზრდის, თანაბარ ნიშნულზე შენარჩუნებისა თუ კლების თაობაზე. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობასთან დაკავშირებული პროგნოზების გაკეთებისას, და შესაბამისი მიზნების დასახვისას, საჭიროა გათვალისწინებული იქნას ინფორმაციის ისეთი მნიშვნელოვანი წყაროები, როგორცაა მთავრობის/დონორების ჩართულობა და მათი მოლოდინები, ექსპერტთა მოსაზრებები, კვლევების შედეგები და ნებისმიერ ტერიტორიაზე დაფიქსირებული დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ტენდენციები.

მონაცემთა წყაროები, ხელმისაწვდომობა და სანდოობა

მონაცემთა წყაროები, ხელმისაწვდომობა და სანდოობა, რა თქმა უნდა, განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები გვთავაზობს მონიტორინგისა და შეფასებისათვის საჭირო სასარგებლო მონაცემთა ნაკრებს და, ასევე, ქვეყნებს შორის შედარებების წარმოების შესაძლებლობას, ეროვნული და ადგილობრივი მონაცემები ძალიან მნიშვნელოვანია ინფორმაციის სრულყოფისა და კონტექსტზე მორგების თვალსაზრისით. ზოგადად, რეკომენდებულია როგორც რაოდენობრივი ასევე თვისობრივი მონაცემების წყაროთა და მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება.

რაოდენობრივ მონაცემთა წყაროები გვებმარება ტენდენციების სიზუსტით განსაზღვრასა და სხვაობების გამოკვეთაში. აღნიშნული წყაროები მოიცავს, მაგალითად, დემოგრაფიულ სტატისტიკას, მოსახლეობის აღწერის მონაცემებს, სამედიცინო ჩანაწერებს, დემოგრაფიულ კვლევებს, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სტატისტიკას და დანაშაულის სტატისტიკას. რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი მნიშვნელოვანია ნებისმიერი პროგრამის შეფასებისათვის და ამგვარი ანალიზის წარმოებაზე და შეფასებაზე პასუხისმგებელი პირები უნდა ფლობდნენ კონკრეტულ უნარებს, კონკრეტულად, მათ უნდა გააჩნდეთ აზრის გამოკითხვით წარმოებული კვლევის დაგეგმვისა და ამგვარი კვლევების საშუალებით მიღებული რაოდენობრივი მონაცემების გამოყენების უნარი.

თვისობრივ მონაცემთა წყაროები გვებმარება იმ კონტექსტის შესწავლაში, რომელშიც თავს იჩენს ტენდენციები და სხვაობები და, ასევე, რაოდენობრივი მონაცემების ზედმიწევნითი სიზუსტით დამუშავებაში. თვისობრივ მონაცემთა წყაროები მოიცავს, მაგალითად, გატარებული პოლიტიკის შესახებ არსებული ჩანაწერების ანალიზს, ფოკუს-ჯგუფებთან წარმოებულ საუბრებს ან სიღრმისეულ

ინტერვიუებს. მიუხედავად იმისა, რომ ფოკუს-ჯგუფებთან წარმოებული საუბრები და სიღრმისეული ინტერვიუები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის მიმართულებით ინტერვენციის დაგეგმისათვის, მათ წარმოებას დიდი დრო სჭირდება და ასევე მოითხოვს ინტერვიურისგან დამატებითი უნარების ფლობას (მაგ. მათ უნდა შეეძლოთ სწორი კითხვების დასმა, არ აიძულონ რესპონდენტი პასუხი გასცენ მათ მიერ დასმულ კითხვებს, შეეცადონ რესპონდენტმა თავი კომფორტულად იგრძნოს და თავისუფლად ისაუბროს და გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები, ამასთან, მას უნდა შეეძლოს თანაგრძნობის გამოხატვა და კონფიდენციალურობის დაცვა). რეკომენდებულია რაოდენობრივ და თვისობრივ მონაცემთა წყაროებით ერთობლივად სარგებლობა.

მონაცემთა ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია ნებისმიერი მონიტორინგისა და შეფასების პრაქტიკაში გასახორციელებლად. მონაცემებზე წვდომის გარეშე წარმოუდგენელია რაიმე მოვლენასთან დაკავშირებული ინტერვენციის ზემოქმედების გაზომვა. გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის პროგრამაში მონაწილე ქვეყნებში განსხვავებული მდგომარეობაა ხარისხიან მონაცემებზე წვდომის თვალსაზრისით. იმ ქვეყნების უმრავლესობაში, რომლებშიც მწვავედ დგას აღნიშნული პრობლემა, ხელმისაწვდომია მოსახლეობის აღწერის სანდო მონაცემები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია დაბადებისას სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობასთან დაკავშირებული გამოანგარიშებების საწარმოებლად, თუმცა საკმაოდ დიდი ინტერვალებით. აღნიშნული ინფორმაცია არ არის საკმარისად დროული იმისათვის, რომ მათზე დაყრდნობით მოხდეს გადაწყვეტილების მიღება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა. ბევრ ქვეყანაში არ არის დანერგილი სამოქალაქო რეგისტრაციის სანდო სისტემა, რომელიც დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ყოველწლიური ცვლილებების მონიტორინგის საშუალებას მოგვცემდა (ევროკავშირი, 2015 წ.). თუმცა, საერთაშორისო თანამშრომლობისა და აღნიშნული საკითხის აქტუალობის წყალობით, მონაცემებზე წვდომა საგრძნობლად გაუმჯობესდა გასული ორი ათწლეულის განმავლობაში და სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა დემოგრაფიული მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას და, ასევე, იმის უზრუნველყოფას, რომ ხელმისაწვდომი მონაცემები შედარების საშუალებას იძლეოდეს. წინამდებარე ჩარჩო აღნიშნული ტენდენციის გამყარებას ემსახურება.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან და გასათვალისწინებელ ფაქტორს წარმოადგენს მონაცემთა სანდოობა. არის შემთხვევები, როდესაც საბოლოო შედეგების გასაუმჯობესებლად დასახული მიზნებისა და ღონისძიებების გახორციელებას უკუეფექტი ან გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვება, მაგალითად, როდესაც ხდება გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის შემთხვევების დამალვა ან დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებლის გაუმჯობესების

გაზვიადება. აღნიშნულს შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს პოლიტიკური ზეწოლის არსებობის შემთხვევაში, ან იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი ხელისუფლება წახალისებას ელოდება სქესთა შორის რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის გაუმჯობესების გამო. მონაცემთა დაურეგისტრირებლად დატოვების ან მონაცემთა გაბერვის მსგავსი შემთხვევები იწვევს მონაცემთა სანდოობის დაქვეითებას. სანდოობა იკლებს, როდესაც ადგილი აქვს მონაცემთა შეგროვების პროცედურებში ძირეული ცვლილების შეტანას ან განმარტების შეცვლას. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს ჩავარდნები დროში და შეაფერხოს მონაცემთა შეგროვების პროცესი, ხელი შეუშალოს შედარების წარმოებას და სანდო სტატისტიკური მონაცემების შექმნას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მონაცემთა შედარების წარმოება და მონაცემთა სხვადასხვა წყაროებით სარგებლობა, მონაცემთა სანდოობისა და სიზუსტის და მკაცრი და სისტემატური მონიტორინგის უზრუნველსაყოფად.

ასევე საჭიროა მონაცემთა სწორი და ზედმიწევნით ზუსტი ინტერპრეტაცია, რაც უზრუნველყოფს ხელმისაწვდომი მონაცემების მიზნობრივ გამოყენებას. არის შემთხვევები, როდესაც სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევებისადმი ინტერესის გამო, წარმოებს სამოქალაქო რეესტრიდან, მოსახლეობის აღწერის მასალებიდან და სხვა წყაროებიდან მოპოვებული და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევასთან დაკავშირებული ნებისმიერი მონაცემის სისტემატური ანალიზი, რომლებიც ხშირად მოსახლეობის მცირე მოცულობის ჯგუფის საფუძველზეა შედგენილი და, შესაბამისად არ ასახავს რეალობას. შედეგად, მედიაში ხდება კონკრეტულ სფეროებში სიტუაციის მოულოდნელი გაუმჯობესების ან გაურესების შესახებ ინფორმაციის გაჟღერება, რაც რეალურად არსებულ ტენდენციებზე სტატისტიკის თვალსაზრისით დაბნეულობას იწვევს. მაგალითად, ინდოეთში თითქმის ყოველ წელს ჰქონდა ადგილი მედიის საშუალებით დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის შესახებ არასწორი ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც არასწორ მონაცემებსა ან მონაცემების არასწორ ინტერპრეტაციას ემყარებოდა და მსგავსი შემთხვევები, როგორ წესი, იწვევს საზოგადოებისა და პოლიტიკოსთა ინტერესის შენელებას. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სანდო სტატისტიკურ წყაროებს და ექსპერტებს, რომლებიც დემოგრაფიული ინფორმაციის გაშიფვრას აწარმოებენ.

მონიტორინგი და ანგარიშის მომზადება და წარდგენა

მონიტორინგი გულისხმობს, პროგრამის მიმდინარეობისას, პროგრამის გახორციელების შედეგად მიღებულ ცვლილებებზე თვალყურის დევნებას. მონიტორინგის დროს სისტემატურად წარმოებს ჩანაწერების წარმოება იმის

შესახებ თუ რა კეთდება ღონისძიებების დანერგვისა და გახორციელების მიმართულებით: რამდენად ხდება ღონისძიების გატარება გეგმის მიხედვით, როდის, რის გამო და რამდენად მოხდა გეგმიდან გადახვევა. მონიტორინგის დროს ყურადღება მახვილდება ინტერვენციასა და შუალედურ შედეგებზე (და არა საბოლოო შედეგებსა და ზემოქმედებაზე, რომლებიც შეფასებას ექვემდებარება). მონიტორინგი მნიშვნელოვანი ინფორმაციით უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეებს იმის შესახებ, თუ რამდენად სწორი მიმართულებით ხორციელდება პროგრამა. მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირებისათვის, რომლებმაც, მათთვის დროულად მიწოდებული ამ ინფორმაციის საფუძველზე, უნდა მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებები.

მონიტორინგის შედეგებზე ანგარიშების შედგენა, ჩვეულებრივ, საკმაო სიხშირით წარმოებს: 3 თვეში ერთჯერ, წლიურად ან ორ წელში ერთჯერ. დონორების მოთხოვნის შესაბამისად, მონიტორინგის ანგარიშების წარმოებისათვის შესაძლებელია შემუშავებული იყოს სპეციალური ფორმა და მკაცრად იყოს დადგენილი ანგარიშების წარდგენის ვადები. დონორებისათვის ინფორმაციის მიწოდების გარდა, ანგარიშების წარმოება და წარდგენა მნიშვნელოვან საკომუნიკაციო ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომელიც ასევე უზრუნველყოფს თვალსაჩინოებას და ქვეყნის თუ ადგილობრივი ხელმძღვანელობისა და ფართო საზოგადოების ინფორმირებას პროგრამის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ჩვენი რეკომენდაციით, ანგარიშების მომზადება და წარდგენა უნდა წარმოებდეს შიდა ანგარიშვალდებულების ფორმატში (მაგ. მთავრობის წარმომადგენლებისათვის, დონორებისათვის, პროგრამაში ჩართული მხარეებისათვის) და გარე ანგარიშვალდებულების ფორმატში (საზოგადოებრივი და ინტერესთა ჯგუფებისათვის, როგორცაა მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციები) გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, მონიტორინგის ანგარიშები გამოიყენება მომავალი ღონისძიებების დასაგეგმად.

მოცემული გლობალური პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო და ეროვნული კოორდინატორები პასუხისმგებლები არიან აწარმოონ პროგრამის მიმდინარეობის მონიტორინგი უწყვეტ რეჟიმში და, საჭიროების შემთხვევაში, გარკვეული კორექტირების ინიციატივით გამოვიდნენ. მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტზე სპეციალური დაფინანსებაა გათვალისწინებული. მოცემულ პროგრამაში მონაწილე ექვსივე ქვეყანა აწარმოებს და წარადგენს წლიურ ანგარიშებს პროგრამის მიმდინარეობის შესახებ და, ასევე, ფინანსურ ანგარიშებს, საერთო ჩარჩოს გამოყენებით. პროგრამის დასრულების შემდეგ დგება საბოლოო ფინანსური ანგარიში და ანგარიში პროექტის შესახებ, რომელშიც აღწერილია შედეგები და ინტერვენციის მდგრადობის უზრუნველსაყოფად გატარებული

ღონისძიებები (ევროკავშირი, 2015 წ.). საერთო ჯამში, მონიტორინგი და გატარებული ღონისძიებებისა და პროცესების შესახებ შესაბამისი ანგარიშები უმნიშვნელოვანესია იმის უზრუნველსაყოფად, რომ აღნიშნული ღონისძიებები და პროცესები სრულ შესაბამისობაში იყოს გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის მიმართულებით არსებულ გლობალურ და ეროვნულ ძალისხმევასთან და, ასევე, აღნიშნული ანგარიშები წარმოადგენს მონაცემთა წყაროს, რომლის საფუძველზეც წარმოებს პროგრამის შეფასება.

შეფასების სტრუქტურა

შეფასება გულისხმობს იმის შემოწმებას, შესრულებული იქნა თუ არა ამოცანები და რამდენად შეესაბამება დაფიქსირებული ცვლილებები პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებს. შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ მეთოდებით, რომლებიც მონიტორინგის დროს გამოიყენება. დამატებითი მეთოდები მოიცავს, მაგალითად, პროგრამის სამიზნე ჯგუფების (დამოუკიდებელ) კვლევას. განსხვავებით მონიტორინგისაგან, რომელიც უწყვეტ პროცესს წარმოადგენს და პროგრამის განვითარებისა და გახორციელების ნაწილია, შეფასება წარმოებს მხოლოდ ერთჯერადად ან მაქსიმუმ ორჯერ (ე.ი. შუალედური შეფასება და საბოლოო შეფასება). შეფასება რეკომენდებულია აწარმოოს პირმა, რომელიც არ მონაწილეობდა პროგრამის შემუშავებასა და გახორციელებაში.

დემოგრაფიულ სიტუაციაზე პოლიტიკისა და ინტერვენციის ზემოქმედების შეფასება (როგორცაა დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებლების ცვლილება) მარტივი არ არის და მასზე მრავალი ხელისშემშლელი ფაქტორი მოქმედებს. მაკრო დონეზე, არსებობს მთელი რიგი სტრატეგიები, რომლებიც უშუალოდ ან ირიბად ზემოქმედებს რეპროდუქციულ არჩევანზე. გარდა ამისა, რეპროდუქციული არჩევანის გაკეთება, მთელს მსოფლიოში, ხდება მიკრო დონეზე, ოჯახებში. სწორედ ინდივიდუალური პირები და ოჯახები განსაზღვრავენ ქვეყნის დემოგრაფიულ მომავალს. ისინი, პიროვნული და სამართლებრივ ჩარჩოებში, იღებენ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რამდენი შვილი უნდა ჰყავდეთ, როდის უნდა გააჩინონ შვილები, რა ასაკობრივი სხვაობა უნდა იყოს მათ შვილებს შორის და, გარდა ამისა, თავად იღებენ გადაწყვეტილებას საკუთარი ოჯახის გენდერული შემადგენლობის შესახებ. ის, თუ რამდენად შეძლებენ ისინი მსგავსი გადაწყვეტილებების მიღებას, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ფლობენ ისინი ინფორმაციას შესაბამის მომსახურებაზე და რამდენად აქვთ წვდომა აღნიშნულ მომსახურებაზე, და, გარდა ამისა, უამრავ სხვა ფაქტორზე, როგორცაა განათლება, კულტურა, რელიგია და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ა.შ. (Rahm 2019).

იმისათვის, რომ მოვიპოვოთ მყარი მტკიცებულება იმისა, რომ სქესის შერჩევასთან

დაკავშირებული ქცევის შეცვლაში ან სხვა შედეგის დადგომაში გატარებულმა პოლიტიკამ ან გახორციელებულმა პროგრამამ შეიტანა საკუთარი წვლილი, “ოქროს სტანდარტად” მიიჩნევა რანდომიზებული ექსპერიმენტული კვლევა. თუმცა, რანდომიზაციის მეთოდის გამოყენება ყოველთვის არ არის შესაძლებელი და არც რესურსების დაზოგვას ემსახურება. ფაქტობრივად, რანდომიზაციის მეთოდით წარმოებული კვლევა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა არასაკმარისი შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი მგრძნობიარე ცვლადების განსაზღვრისათვის, როგორცაა დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა. თუმცა არსებობს შეფასების სხვა მეთოდებიც, რომლებსაც მოკლედ დავახასიათებთ. შეფასების დროს ისმის კითხვა: მიღწეული იქნა თუ არა ის საბოლოო შედეგები და ის ზემოქმედება, რომელსაც ინტერვენცია ისახავდა მიზნად? რა გაუთვალისწინებელი შედეგები გვაქვს სახეზე? ხომ არ განაპირობა რაიმე კონკრეტულმა ფაქტორებმა საბოლოო შედეგების ცვლილება? ერთი სიტყვით, შეფასება ადგენს იმ ცვლილებებს, რომლებიც ძირითადად მაჩვენებლებმა განიცადა (მოცემული პროგრამის შემთხვევაში აღნიშნული უკავშირდება სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევებს, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის გამომწვევ ფაქტორებს, პოლიტიკასა და პროგრამებს) მოცემული ღონისძიების გატარების პერიოდში და, ასევე, ადგენს თუ რამდენად შეიძლება აღნიშნული ცვლილებების პროგრამასთან პირდაპირი კავშირის დადგენა (იხ. ტაბულა 6).

ტაბულა 6: ინტერვენციის დაკავშირება შედეგებთან

ცვლილებების უშუალო დაკავშირება პროგრამასთან, მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ შემფასებელი დაადგენს პირდაპირ კავშირს გატარებულ ღონისძიებებსა და შედეგებს შორის. აღნიშნული მარტივი გასახორციელებელია შუალედური შედეგების შეფასების დონეზე, და შესაძლებელია საბოლოო შედეგების შეფასების დონეზე. თუმცა, ზემოქმედების შეფასების დონეზე აღნიშნული პირდაპირი კავშირის დადგენა მნიშვნელოვან სირთულეებს უკავშირდება. მაგალითად, ინტერვენციის მიზანს შესაძლებელია წარმოადგენდეს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ეროვნული კოეფიციენტის 112-დან 107-მდე შემცირება 8 წლის განმავლობაში (გადაწყვეტილება No: 1472/QD-BYT მიღებული დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევათა კონტროლის შესახებ ვიეტნამის სქემის ფარგლებში, 2016–2025 წწ.). გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის პროგრამა ემსახურება ხელისუფლების შესაძლებლობების გაფართოვებასა და გაუმჯობესებას, რათა მან უზრუნველყოს გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენცია და მოცემულ ქვეყანაში წყვილების რეპროდუქციული ქცევის შეცვლა. დაუშვათ, ოთხი წლის შემდეგ ქვეყანაში დაფიქსირდა დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტის 109-მდე შემცირება. მაგრამ შეიძლება კი ეს უშუალოდ პროგრამის გახორციელების შედეგად იქნას მიჩნეული? შესაძლებელია არსებობდეს ამის გამომწვევი უამრავი ფაქტორი, როგორცაა მაგალითად, ეკონომიკური ზრდა, რომელმაც შეარბილა ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭებაზე ზეწოლა, ჯანდაცვის ახალი მინისტრი, რომელმაც რეფორმები გაატარა, ან რელიგიური ლიდერი, რომელიც მოსახლეობას მესამე შვილის გაჩენის შემთხვევაში ამ ბავშვის მონათვლას დაჰპირდა და ა.შ. ფაქტობრივად, შესაძლებელია არსებობდეს ასობით პირველადი და მეორადი

ფაქტორი, რომლებიც გავლენას ახდენს დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ტენდენციებზე. აღნიშნულ ვითარებაში, უმჯობესია დავასკვნათ, რომ გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის პროგრამამ საკუთარი წვლილი შეიტანა დაფიქსირებულ ცვლილებებში. შესაბამისად, ზემოქმედების დონეზე, პროგრამის გახორციელებაზე პასუხისმგებელი პირების მიზნას უნდა წარმოადგენდეს სიტუაციის უკეთესობისაკენ ცვლილებაში წვლილის შეტანა, და არ უნდა იყოს მოლოდინი იმისა, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ამ ცვლილებებს აუცილებლად გახორციელებულ პროგრამას მიაკუთვნებს.

წყარო: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (2011 წ.)
(ადაპტირებული)

შეფასებისათვის საჭიროა შეირჩეს შესაბამისი კვლევა (იხ. ცხრილი 2). პირველ რიგში, შემფასებლები განიხილავენ შესაძლებელია თუ არა ექსპერიმენტული კვლევის წარმოება, რომელიც რანდომიზაციის პრინციპსა და საკონტროლო ჯგუფს ემყარება. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია რანდომიზაციის პრინციპის საფუძველზე კვლევის წარმოება, საუკეთესო ალტერნატივას წარმოადგენს ნახევრად ექსპერიმენტული კვლევა, რომელიც გულისხმობს საკონტროლო ჯგუფის შედგენას, რომელიც შესაძლებლობების ფარგლებში საკვლევი ჯგუფის ანალოგური უნდა იყოს. იმ შემთხვევაში, თუ ინტერვენცია დასრულებულია და, ამასთან, არ ყოფილა წარმოებული წინასწარი კვლევა, შემფასებლებმა უნდა გამოიყენონ შედეგების შეფასებით წარმოებული კვლევა და მრავალფაქტორული ანალიზის მეთოდი. იმ შემთხვევაში, თუ ინტერვენცია არ არის დასრულებული და შეუძლებელია ექსპერიმენტული ან ნახევრად ექსპერიმენტული კვლევის წარმოება, რეკომენდებულია კოეფიციენტების დროთა განმავლობაში ცვლილების შესწავლა ან წინასწარ და საბოლოო კვლევაზე არჩევანის შეჩერება. ეს უკანასკნელი გულისხმობს ინტერვენციამდე არსებულ ვითარებაზე ინფორმაციის მოპოვებას, რომლის შედარებაც მომავალში შესაძლებელი იქნება საბოლოო კვლევის შედეგად მიღებულ ინფორმაციასთან (Gage and Dunn 2009). გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის მიზნით წარმოებული ინტერვენციის შეფასებისათვის საჭირო წინასწარი კვლევის ნიმუში მოცემულია დანართში 1 ხოლო, მონიტორინგისა და შეფასების ფორმა, რომელშიც წინასწარი კვლევის ინფორმაციის

გამოყენებაა გათვალისწინებული, შეგიძლიათ იხილოთ დანართში 2.

შემფასებლები ასევე უნდა დარწმუნდნენ რომ მონაცემები ვალიდურია. რაზე მეტყველებს თარიღი? რამდენად უტყუარია თარიღი? სხვა რა ფაქტორებით არის შესაძლებელი პროგრამის შედეგების ახსნა? ზემოქმედების შეფასებისათვის გამოყოფილი ფინანსები, დრო და რესურსები, რა თქმა უნდა, განსაზღვრავს თუ რა კვლევის მეთოდი უნდა შეირჩეს პროგრამის ზემოქმედების შეფასებისათვის. საბოლოო ჯამში, მიუხედავად იმისა, თუ რა ტიპის კვლევა იქნება გამოყენებული, შეფასების შედეგები უნდა ემსახურებოდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებას.

ცხრილი 2: წინაპირობა და შეფასების სტრუქტურა

წინაპირობა	შეფასების სტრუქტურა
პროგრამის ზემოქმედების შეფასება; არსებობს ინტერესი ცვლილებებსა და პროგრამას შორის უშუალო კავშირის დადგენის მიმართ	ექსპერიმენტული (რანდომიზაციის პრინციპით წარმოებული) ან ნახევრად ექსპერიმენტული კვლევა
პროგრამის გახორციელება დასრულებულია; არ ჩატარებულა წინასწარი კვლევა	შედეგების შეფასება (შემდეგ, მრავალფაქტორული ანალიზი)
პროგრამის გახორციელება არ არის დასრულებული	წინასწარი კვლევა და შედეგების შეფასება; კოეფიციენტების დროთა განმავლობაში ცვლილების შესწავლა


წყარო: Gage and Dunn (2009)

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა

გასული ათწლეულის განმავლობაში საკმაო რაოდენობით დაგროვდა ლიტერატურა მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების შესახებ, თუმცა, პოლიტიკის შემუშავებისას მაინც იშვიათად ხდება მტკიცებულებების გათვალისწინება. მონაცემთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის გათვალისწინება წარმოებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. პოლიტურ არენაზე მუდმივად დროის დეფიციტია და გადაწყვეტილების მიღებამდე უზარმაზარი რაოდენობით მონაცემების გაცნობა, შესაბამისად, პრიორიტეტულ პროცედურას არ წარმოადგენს. თითოეული გადაწყვეტილების მიღებისას საჭირო ყველა მნიშვნელოვანი საკითხიდან მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის შერჩევა წარმოებს, რის საფუძველზეც, როგორც წესი, იღებენ გადაწყვეტილებებს. პოლიტიკოსებისგან მკვლევარებს ხშირად სმენიათ შემდეგი შინაარსის შენიშვნა: „ჩვენ საქმეს უნდა მივხედოთ, ვიდრე თქვენ მტკიცებულებების ძიებაში იქნებით“, რაც გამოხატავს კიდევ პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირების დამოკიდებულებას აღნიშნული

საკითხისადმი (Banerjee and Duflo 2012, 15). ის თუ პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირები გაითვალისწინებენ თუ არა მტკიცებულებებს, შემდგომი ინტერვენციის დაგეგმვისას ან არსებულ ინტერვენციაში შესწორებების შეტანისას, დამოკიდებულია ძალიან ბევრ ფაქტორზე, როგორცაა, მტკიცებულების ხარისხი; მისაღები მტკიცებულებები, დამუშავებას დაქვემდებარებული მტკიცებულებები, დროული შედეგები; ხელმძღვანელთა ინფორმირებულობის დონე და მათი მზაობა და უნარი გამოიყენონ მათთვის მიწოდებული მტკიცებულებები (იხ. გრაფიკი 4).

გრაფიკი 4: მტკიცებულებები პოლიტიკის შემუშავებისთვის და მათთან დაკავშირებული შეზღუდვები



პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირები ხშირად ვერ ახერხებენ მტკიცებულებების საფუძვლად გამოყენებას პოლიტიკის შემუშავებისას, ვინაიდან ან შეფასებების შედეგები არ არის ხელმისაწვდომი ან ხელმისაწვდომი მონაცემები არ ექვემდებარება გადამუშავებას. გარდა ამისა, კვლევების შედეგები, ხშირად, ვერ სცემს პასუხს იმ ძირითად კითხვებს, რომლებიც ესოდენ მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღებისათვის, ან გვერდს უვლის რეალურად არსებულ და აქტუალურ პრობლემებს. შედეგად, პოლიტიკის შემუშავებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მოსაპოვებლად, ჩნდება მონიტორინგისა და შეფასების მიზნით წარმოებული კვლევების საჭიროება.

პოლიტიკის შემუშავებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მოსაპოვებლად წარმოებული კვლევები უზრუნველყოფს შემდეგს:

- მონიტორინგისა და შეფასების მიზნით გახორციელებული აქტივობები ემსახურება ხელისუფლებისათვის აქტუალური საჭიროებების დაკმაყოფილებას.
- ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლებს შორის მყარდება თანამშრომლობითი ურთიერთობა.
- მკაცრი შეფასება მიზანშეწონილია, წარმოებს მტკიცებულებებისა და შედეგების დროული მიწოდება.
- წარმოებს ანგარიშების სხვადასხვა არხების გამოყენება, იმისათვის, რათა

- წარმოებს პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაზე პასუხისმგებელი პირების ინფორმირებულობის დონის ამაღლება, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საკითხებზე მათთვის სპეციალური ტრენინგების ორგანიზებით, და მათთვის მტკიცებულებაზე დაფუძნებული პროგრამების გაზიარებით.
- წარმოებს სათანადო კადრების მომზადება, შედეგებისა და მონაცემების ინტერპრეტირება-გადამუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებში (მაგ. როგორ არის შესაძლებელი მტკიცებულების ხარისხის დადგენა ან როგორ შეიძლება მტკიცებულებების გამოყენება პოლიტიკის შემუშავებისას).

მონიტორინგისა და შეფასების ეფექტურობას, პირველ რიგში, განაპირობებს იმ პირების უნარები და კომპეტენცია, რომლებიც სარგებლობენ მონიტორინგისა და შეფასების შედეგებით. შესაბამისად, მონიტორინგისა და შეფასების მიზნით პოლიტიკის შესაბამისი კვლევების ხელშეწყობა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის საბოლოო შედეგების ხარისხსა და იმას, რომ მის შედეგად მიღებული მტკიცებულებები საფუძვლად დაედება პოლიტიკას. შესაბამისად, ეროვნული და ადგილობრივი კადრების მომზადება და შესაძლებლობების გაფართოვება, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის პროგრამის მონიტორინგისა და შეფასებისათვის, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის მიზნით წარმოებული ინტერვენციის ძირითად ელემენტს უნდა წარმოადგენდეს, და საერთაშორისო დონეზე უნდა წარმოებდეს დამატებითი ტრენინგების ორგანიზება და, ასევე, აუცილებელია საერთაშორისო მხარდაჭერა აღნიშნული მიზნის მიღწევის მიმართულებით.

რეკომენდაციები

ქვევით მოცემული რეკომენდაციები განკუთვნილია გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის პროგრამის გახორციელებაზე და შეფასებაზე პასუხისმგებელი პირებისათვის:

- შეიმუშავეთ მონიტორინგისა და შეფასების ეროვნული ჩარჩო, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციის მიზნით გახორციელებული ინტერვენციის შედეგებისა და ზემოქმედების შესაფასებლად.
- ისარგებლეთ უკვე არსებული ჩარჩოებითა და კვლევებით. ზოგიერთ ქვეყანას უკვე აქვს შემუშავებული მონიტორინგისა და შეფასების ეროვნული ჩარჩო, ეს ქვეყნებია, მაგალითად ვიეტნამი და სომხეთი.
- აწარმოეთ დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტებთან დაკავშირებით, როგორც წარსულში არსებული, ასევე

მიმდინარე და მომავალი ტენდენციები და პოლიტიკის მიმართულებების მკაცრი მონიტორინგი და შეფასება.

- გაითვალისწინეთ როგორც წინასწარი კვლევის, ასევე საბოლოო კვლევის შედეგები, პოლიტიკის შეფასების მიზნით მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოსაპოვებლად.
- შეაფროვეთ მხოლოდ ის მონაცემები, რომლებითაც ფაქტობრივად ისარგებლებთ.
- მოიწვიეთ უცხოელი ექსპერტები თქვენ მიერ წარმოებული საქმიანობის ხარისხის შეფასების მიზნით (peer review) და გაეცანით თქვენ მიერ წარმოებულ საქმიანობაზე ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მოსაზრებებს, შესრულებული სამუშაოს მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.
- უზრუნველყავით შეფასების შედეგების დროული მიწოდება და ის, რომ შედეგები იყოს შესაბამისი და ექვემდებარებოდეს გადამუშავებას.
- ითანამშრომლეთ ხელისუფლების წარმომადგენლებთან და უზრუნველყავით ისინი ინფორმაციით მონიტორინგისა და შეფასებისათვის მონაცემთა შეგროვებასთან და მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებულ მონაცემთა გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
- გამოყავით საკმარისი (ფინანსური და ტექნიკური) რესურსები მონიტორინგისა და შეფასების საქმიანობისათვის.

დასკვნა

მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო მნიშვნელოვან დახმარებას გაგიწევთ მონიტორინგისა და შეფასების გეგმისა და მონიტორინგთან და შეფასებასთან დაკავშირებული იმ აქტივობების შემუშავებისა და გახორციელების საქმეში, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს მიმდინარე და მომავალ პოლიტიკასა და პროგრამებს. მონიტორინგისა და შეფასების წინამდებარე ჩარჩო მომზადდა „ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭებისა და გოგონათა არასათანადოდ დაფასების პრევენციის პირველი გლობალური პროგრამის“ (2016- 2019 წწ.) ფარგლებში, თუმცა მისი გამოყენება წარმოებს „ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭებისა და გოგონათა არასათანადოდ დაფასების პრევენციის პირველი გლობალური პროგრამის“ დასრულების შემდგომაც. აღნიშნული ჩარჩოს მიზანს წარმოადგენდა, დროთა განმავლობაში და სხვადასხვა ქვეყნებში, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტისა და მასთან დაკავშირებული პოლიტიკის ცვლილებების შესახებ მონაცემთა შეგროვების, ანალიზის, მონაცემთა დამუშავებისა და მიწოდების ხელშეწყობა, რის საფუძველზეც შესაძლებელია მონიტორინგისა და შეფასების ეროვნული სისტემის შექმნა, რომლის მორგებაც ქვეყნების მრავალფეროვან კონტექსტსა და შეზღუდვებზე სირთულეს არ წარმოადგენს.

წინამდებარე პუბლიკაციაში ჩვენ შემოგთავაზებთ ინფორმაცია გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის შესახებ, მასთან დაკავშირებული პოლიტიკის შესახებ და იმ ხარვეზების შესახებ, რომლებიც უკავშირდება ინფორმაციას, თუ რა „მუშაობს კარგად“ გენდერულ ტენდენციურობასთან ეფექტურად გამკლავების მიმართულებით; ჩვენ ასევე მიმოვიხილეთ მოქმედი გლობალური პროგრამა, რომელიც აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრას ემსახურება. ამ პუბლიკაციაში შესული ცვლილების თეორია მჭიდროდ უკავშირდება გლობალური პროგრამის ლოგიკურ ჩარჩოს და ამ თეორიის დახმარებით ჩვენ აღვწერეთ სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევების შემთხვევები, დავახასიათეთ გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის გამომწვევი ფაქტორები და იმ ინტერვენციათა ტიპები, რომლებიც ემსახურება სასურველი შედეგების მიღებას. თავში: „გენდერული ნიშნით სქესის შერჩევისა და მასთან დაკავშირებული ინტერვენციების მონიტორინგი და შეფასება“ ჩვენ შემოგთავაზებთ მონიტორინგისა და შეფასების ცვლადები, მათთან დაკავშირებული მაჩვენებლები, მონაცემთა წყაროები და განვიხილეთ მონაცემთა ხელმისაწვდომობასთან და ამ მიმართულებით არსებულ შეზღუდვებთან დაკავშირებული საკითხები. მონიტორინგისა და შეფასების ვიეტნამის ეროვნული ჩარჩოს მაგალითზე, ვიმედოვნებთ, რომ მეტ ინფორმაციას მიიღებთ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ

არის შესაძლებელი მოცემული რეკომენდაციებით ხელმძღვანელობა.

როგორც წინამდებარე პუბლიკაციიდან შევითქვით, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პროგრამების მონიტორინგი და შეფასება რიგ გამოწვევებს უკავშირდება. ერთი მხრივ, შედეგების შეფასებისას, სირთულეს წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში გაღებული ძალისხმევის გამიჯვნა სხვა ხელშემწყობი ფაქტორებისგან (ინტერვენციის შედეგებთან უშუალო კავშირის დადგენა). და, მეორე მხრივ, სათანადო შეფასებისთვის საჭირო ფინანსური და ტექნიკური რესურსები ხშირად არასაკმარისია. აღნიშნულმა ორივე ფაქტორმა განაპირობა ის, რომ ჩვენ ხელთ არ გვაქვს პროგრამის ეფექტურობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია და სრულყოფილი მტკიცებულებები. გარდა ამისა, აქამდე ხელთ არ გვქონდა გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის სტანდარტიზირებული განმარტება და მასთან დაკავშირებული მაჩვენებლები, რომლებიც პროგრამის ფარგლებში გახორციელებული ინტერვენციის მონიტორინგისა და შეფასების საშუალებას მოგვცემდა. წინამდებარე ჩარჩო წარმოადგენს მსგავს პროგრამებთან დაკავშირებული გლობალური სტანდარტების შექმნის პირველ მცდელობას. მონიტორინგისა და შეფასების ცვლადები და მათთან დაკავშირებული მაჩვენებლები დახარისხებულია შემდეგ კატეგორიებად: ა) სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევები, ბ) გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის გამომწვევი ფაქტორები და გ) პოლიტიკა და ინტერვენცია, რაც ემსახურება საერთაშორისო სტანდარტების მორგებას მონიტორინგისა და შეფასების ეროვნულ ჩარჩოებზე. ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა არსებობს მონაცემთა ხარისხისა და მონაცემთა ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, და საჭიროა მუდმივი ძალისხმევა, როგორც სტატისტიკის მიმართულებით ეროვნული კომპეტენციების გასაუმჯობესებლად, ასევე იმის უზრუნველსაყოფად, რომ მიღებული მონაცემები სხვა ქვეყნების მონაცემებთან შედარების საშუალებას იძლეოდეს. სტატისტიკის მიმართულებით მომუშავე კადრებისათვის და გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი პირებისათვის, მათ საჭიროებებზე მორგებული ტრენინგების ორგანიზება ხელს შეუწყობს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას და გენდერული ნიშნით სქესის შერჩევასთან დაკავშირებული ცვლილებების უკეთ გაზომვასა და დამუშავებას. საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ მონიტორინგისა და შეფასების ნებისმიერი ჩარჩო ემსახურება მოკლე და საშუალოვადიანი ინტერვენციების შემუშავება-გახორციელებას, ხოლო რაც შეეხება სოციალური ნორმების ცვლილებებს, რაც გენდერული ტენდენციურობის აღმოსაფხვრელად არის საჭირო, მას არაერთი წელი სჭირდება.

ბიბლიოგრაფია

- Attané, Isabelle, and Christophe Z. Guilmoto, eds. 2007. *Watering the Neighbour's Garden. The Growing Demographic Female Deficit in Asia*. Collection: Autres Ouvrages. Paris: CICRED.
- Attané, Isabelle, and Jacques Véron. 2005. *Gender Discriminations among Young Children in Asia / Edited by Isabelle Attané & Jacques Véron*. Collection Sciences Sociales (Institut Français de Pondichéry) 9. Pondicherry: French Institute of Pondicherry : Centre Population et Développement.
- Banerjee, Abhijit, and Esther Duflo. 2012. *Poor Economics: A Radical Rethinking of the Way to Fight Global Poverty*. PublicAffairs.
- Bongaarts, John, and Christophe Z. Guilmoto. 2015. “How Many More Missing Women? Excess Female Mortality and Prenatal Sex Selection, 1970-2050.” *Population and Development Review* 41 (2): 241–69.
- Bumgarner, Ashley. 2007. “A Right to Choose?: Sex Selection in the International Context.” *Duke Journal of Gender Law & Policy*, June, 1289–1310.
- Duthé, Géraldine, France Meslé, Jacques Vallin, Irina Badurashvili, and Karine Kuyumjyan. 2012. “High Sex Ratios at Birth in the Caucasus: Modern Technology to Satisfy Old Desires.” *Population and Development Review* 38 (3): 487–501.
- Eklund, Lisa. 2011. “Rethinking Son Preference – Gender, Population Dynamics and Social Change in the People’s Republic of China.” Dissertation, Lund: Lund University.
- European Union. 2015. “Action Document for the Global Programme to Prevent Son Preference and Gender-Biased Sex Selection.” 2015. https://ec.europa.eu/europeaid/file/48549/download_en?token=hyseRA9W. Gage, Anastasia J., and Melissa Dunn. 2009. “Monitoring and Evaluating Gender-Based Violence Prevention and Mitigation Programs-MODULE II.” MEASURE Evaluation, USAID, IGWG. M&E Challenges of GBV Programs - Virtual Knowledge Centre to End ... www.endvawnow.org/uploads/browser/files/MandE_ppt_IGWG.ppt.
- Gietel-Basten, Stuart, John B. Casterline, and Minja Kim Choe, eds. 2018. *Family Demography in Asia: A Comparative Analysis of Fertility Preferences*. Cheltenham, UK: Edward Elgar Publishing.
- Guilmoto, Christophe Z. 2009. “The Sex Ratio Transition in Asia.” *Population and Development Review* 35 (3): 519–49.
- . 2019. “Rule of Thumb: Return to Normalcy May Take Slightly More Time than the

-
- First Rise,” July 3, 2019.
- Guilmoto, Christophe Z., and Géraldine Duthé. 2013. “Masculinization of Births in Eastern Europe.” *Population & Societies*, no. 506 (December): 4.
- Hudson, Valerie M., and Andrea Den Boer. 2004. *Bare Branches: The Security Implications of Asia’s Surplus Male Population*. BCSIA Studies in International Security. Cambridge, MA: MIT Press.
- Li, Hongbin, Junjian Yi, and Junsen Zhang. 2011. “Estimating the Effect of the One-Child Policy on the Sex Ratio Imbalance in China: Identification Based on the Difference-in-Differences.” *Demography* 48 (4): 1535–57.
- Nandi, Arindam, and Anil B. Deolalikar. 2013. “Does a Legal Ban on Sex-Selective Abortions Improve Child Sex Ratios? Evidence from a Policy Change in India.” *Journal of Development Economics* 103 (July): 216–28.
- OECD. 2011. “Section 10: Monitoring and Evaluation.” In *The OECD DAC Handbook on Security System Reform: Supporting Security and Justice*. OECD Publishing. <https://doi.org/10.1787/9789264027862-en>.
- Population Council, and CREHPA. 2015. “Gender-Biased Sex Selection and Unbalanced Sex Ratios at Birth in South Asia: Case Studies of the Situation and Promising Approaches.” New Delhi: Population Council.
- Rahm, Laura. 2017. “La Convergence Des Politiques de Lutte Contre La Sélection Sexuelle Prénatale : Corée Du Sud, Inde et Vietnam.” *Critique Internationale* 4 (77): 11–31.
- . 2019. *Gender-Biased Sex Selection in South Korea, India and Vietnam: Assessing the Influence of Public Policy*. Cham: Springer.
- Sen, Amartya. 2003. “Missing Women: Revisited.” *BMJ* 327 (7427): 1297–98.
- Sinha, Nistha, and Joanne Yoong. 2009. “Long-Term Financial Incentives and Investment in Daughters: Evidence From Conditional Cash Transfers In North India.” Policy Research Working Papers. New York: The World Bank.
- Subramanian, S V, and S Selvaraj. 2009. “Social Analysis of Sex Imbalance in India: Before and After the Implementation of the Pre-Natal Diagnostic Techniques (PNDT) Act.” *Journal of Epidemiology & Community Health* 63 (3): 245–52.
- UN Women. 2010. “Monitoring and Evaluation Frameworks.” October 31, 2010. <http://www.endvawnow.org/en/articles/335-monitoring-and-evaluation-frameworks-3-parts.html>.
- UNFPA. 2012. *Sex Imbalances at Birth: Current Trends, Consequences and Policy Implications*. Bangkok: UNFPA Asia and the Pacific Regional Office.
- UNICEF, and UNFPA. 2014. “Synthesis of Research on Gender Biased Sex Selection – Insights and Learnings (2001-2012).” New Delhi.
- Urdal, Henrik. 2006. “A Clash of Generations? Youth Bulges and Political Violence.”

International Studies Quarterly 50 (3): 607–29. <https://doi.org/10.1111/j.1468-2478.2006.00416.x>.

WHO. 2011. *Preventing Gender-Biased Sex Selection: An Interagency Statement OHCHR, UNFPA, UNICEF, UN Women and WHO*. Geneva: World Health Organization.

Woetzel, Jonathan, Anu Madgavkar, Kweilin Ellingrud, Eric Labaye, Sandrine Devillard, Eric Kutcher, James Manyika, Richard Dobbs, and Mekala Krishnan. 2015. “The Power of Parity: How Advancing Women’s Equality Can Add \$12 Trillion to Global Growth.” McKinsey Global Institute.

დანართი 1: გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ წარმოებული წინასწარი კვლევა

გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ წარმოებული საბაზისო კვლევა, დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევასთან დაკავშირებით - ვიეტნამი 2013 წ.

კვლევის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირები	სახელი, გვარი	კოდი	დღე/თვე/წელი
ინტერვიუერი	_____	_____	___/___/___
დამკვირვებელი	_____	_____	___/___/___
მონაცემთა რედაქტირებაზე პასუხისმგებელი პირი	_____	_____	___/___/___
მონაცემთა ჩაწერაზე პასუხისმგებელი პირი	_____	_____	___/___/___

ადგილმდებარეობა:

კოდი

ოლქი: _____

ქალაქი/დასახლება: _____

თემის დასახელება: _____

მისამართი: _____

ტელეფონის ნომერი/სხვა საკონტაქტო ინფორმაცია: _____

შესავალი

მოგესალმებით! მე გახლავართ, „Mekong Economics“-ის წარმომადგენელი. გაეროს მოსახლეობის ფონდისა და ვიეტნამის მთავრობის დავალებით, ჩვენ ვაწარმოებთ თქვენს საზოგადოებაში ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭებასთან, სქესის შერჩევასთან და დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევასთან დაკავშირებული საკითხების კვლევას. ჩვენ ვგეგმავთ, როგორც ურბანულ ტერიტორიებზე, ასევე სასოფლო დასახლებებში მაცხოვრებელი, 18-დან 40 წლამდე ასაკის, ქორწინებაში მყოფი ქალებისა და მამაკაცების გამოკითხვას. თქვენი შერჩევა კვლევაში მონაწილეობისათვის მოხდა რანდომიზაციის პრინციპით. ჩვენი გასაუბრება დაახლოებით 30 წუთს გასტანს. გარწმუნებთ, რომ კვლევაში მონაწილეობის შემთხვევაში მკაცრად იქნება დაცული თქვენი კონფიდენციალურობა და თქვენი პასუხები გამოყენებული იქნება მხოლოდ კვლევის მიზნებისათვის. თქვენი პასუხები დაგვეხმარება ინტერვენციის მეთოდის შერჩევაში. თანახმა ხართ მონაწილეობა მიიღოთ კვლევაში?

თუ წინააღმდეგი არ ხართ, გთხოვთ უპასუხოთ რამდენიმე კითხვას თქვენს შესახებ.

ნაწილი 1: ინფორმაცია რესპონდენტის შესახებ

კითხვა 1.	რესპონდენტის სახელი და გვარი:	_____
კითხვა 2.	რესპონდენტის სქესი <i>(ინტერვიუერს მონაცემი შეჰყავს კითხვის დასმის გარეშე)</i>	1. მამრობითი 2. მდედრობითი
კითხვა 3.	რესპონდენტის ასაკი <i>(2013 წლის იანვრისთვის)</i>	1. 18-დან 19 წლამდე 2. 20-დან 24 წლამდე 3. 25-დან 29 წლამდე 4. 30-დან 34 წლამდე 5. 35-დან 40 წლამდე
კითხვა 4.	დაბადების წელი	_____
კითხვა 5.	განათლების მიღწეული დონე	1. არასრული დაწყებითი/წერა-კითხვის უცოდინარი 2. დაწყებითი 3. არასრული საშუალო 4. სრული საშუალო 5. პროფესიული განათლება 6. არასრული პროფესიულ-ტექნიკური განათლება 7. სრული პროფესიულ-ტექნიკური განათლება 8. უმაღლესი 9. აკადემიური ხარისხის მფლობელი 10. სხვა (მიუთითეთ) _____ 11. უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე
კითხვა 6.	რიგითობა დედამიწვილებს შორის	1. პირველი შვილი 2. მეორე, მესამე და ა.შ. შვილი 3. დედისერთა 4. სხვა (მიუთითეთ) _____
კითხვა 7.	რესპონდენტის მეუღლის რიგითობა დედამიწვილებს შორის	1. პირველი შვილი 2. მეორე, მესამე და ა.შ. შვილი 3. დედისერთა 4. სხვა (მიუთითეთ) _____
კითხვა 8.	რესპონდენტის ეთნიკური წარმომავლობა	1. ვიეტი 2. ტაი 3. სხვა (მიუთითეთ) _____
კითხვა 9.	რომელი რელიგიის მიმდევარი ხართ?	1. არც ერთი რელიგიის 2. ქრისტიანობა 3. ბუდიზმი 4. უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე 5. სხვა (მიუთითეთ) _____

კითხვა 10.	რომელ სფეროში ხართ დასაქმებული?	<ol style="list-style-type: none"> 1. ფერმერი 2. სტუდენტი 3. მასწავლებელი 4. ჯანდაცვის მუშაკი 5. სამხედრო პირი/პოლიციელი 6. საჯარო სექტორის მუშაკი 7. მეწარმე 8. დროებით სამუშაოებზე დასაქმებული 9. თვითდასაქმებული 10. ხელოვანი/ხელოსანი 11. პენსიონერი 12. დიასახლისი 13. სხვა (მიუთითეთ) _____
კითხვა 11.	ადგილობრივი კლასიფიკაციის მიხედვით, როგორია თქვენი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა?	<ol style="list-style-type: none"> 1. ღარიბი 2. საშუალო 3. შეძლებული 4. ვერ მივაკუთნებ ვერც ერთ კატეგორიას

ნაწილი 2: ინფორმაცია ოჯახის შესახებ

კითხვა 12.	ვისთან ერთად ცხოვრობთ თქვენს ოჯახში?	<ol style="list-style-type: none"> 1. ერთი თაობის წარმომადგენლებთან ერთად 2. ორი თაობის წარმომადგენლებთან ერთად 3. სამი თაობის წარმომადგენლებთან ერთად 4. ოჯახის წევრებთან და ახლო ნათესაებებთან 5. სხვა (მიუთითეთ) _____
კითხვა 13.	სად ცხოვრობენ თქვენი მშობლები?	<ol style="list-style-type: none"> 1. იგივე სოფელში 2. იგივე თემში 3. იგივე ქალაქში 4. იგივე ოლქში 5. სხვა ოლქში
კითხვა 14.	სად ცხოვრობენ თქვენი მეუღლის მშობლები?	<ol style="list-style-type: none"> 1. იგივე სოფელში 2. იგივე თემში 3. იგივე ქალაქში 4. იგივე ოლქში 1. სხვა ოლქში
კითხვა 15.	ვინ არჩენს ოჯახს?	<ol style="list-style-type: none"> 1. მხოლოდ მე 2. ჩემი მეუღლე 3. მე და ჩემი მეუღლე 4. ჩემი მშობლები 5. ჩემი მეუღლის მშობლები 6. ჩემი შვილები 7. სხვა (მიუთითეთ) _____

კითხვა 16.	გყავთ შვილები?	<ol style="list-style-type: none"> 1. დიახ (გადადით კითხვაზე.17) 1.1. ბიჭი 1.1.1. რამდენი: _____ 1.2. გოგო 1.2.1. რამდენი: _____ 2. არა (გადადით კითხვაზე 21) 3. ორსული (მეუღლე) (გადადით კითხვაზე.21)
კითხვა 17.	თქვენი პირველი ბავშვი:	<ol style="list-style-type: none"> 1. ასაკი: _____ 2. სქესი: 2.1. მამრობითი 2.2. მდედრობითი
კითხვა 18.	თქვენი მეორე ბავშვი:	<ol style="list-style-type: none"> 1. ასაკი: _____ 2. სქესი: 2.1. მამრობითი 2.2. მდედრობითი
კითხვა 19.	თქვენი მესამე ბავშვი:	<ol style="list-style-type: none"> 1. ასაკი: _____ 2. სქესი: 2.1. მამრობითი 2.2. მდედრობითი
კითხვა 20.	თქვენი მეოთხე ბავშვი:	<ol style="list-style-type: none"> 1. ასაკი: _____ 2. სქესი: 2.1. მამრობითი 2.2. მდედრობითი
კითხვა 21.	ვინ იღებს გადაწყვეტილებას ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებით (მაგალითად, როდის უნდა გააჩინოთ ბავშვი, რამდენი შვილი უნდა გყავდეთ და ა.შ.)?	<ol style="list-style-type: none"> 1. მხოლოდ მე 2. მხოლოდ ჩემი მეუღლე 3. მე და ჩემი მეუღლე 4. ჩემი მშობლები 5. ჩემი მეუღლის მშობლები 6. მე და ჩემი მეუღლე და ჩვენი მშობლები 7. სხვა (მიუთითეთ) _____

ნაწილი 3. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობასთან დაკავშირებული ცოდნა, დამოკიდებულებები და პრაქტიკა

ამჯერად ჩვენ მიერ დასმული კითხვები ეხება იმ ცოდნასა და დამოკიდებულებებს, რომლებიც თქვენ გაგაჩნიათ გენდერული თანასწორობის, ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭებისა და დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის შესახებ. ამასთან, არ არსებობს სწორი ან არასწორი პასუხი, ჩვენ მხოლოდ თქვენი აზრი გვაინტერესებს. გთხოვთ დააფიქსიროთ (1) სრულიად ეთანხმებით, (2) ეთანხმებით, (3) არ ეთანხმებით, თუ (4) სრულიად არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს. **ინტერვიუერი მოცემულ წინადადებებს ხმამაღლა უკითხავს რესპონდენტს.**

1.1 გენდერული ასპექტები						
		სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები	სხვა
კითხვა 22.	იმ საზოგადოებაში, რომელსაც მე ვეკუთვნი, მნიშვნელოვანია, რომ მამაკაცები და ქალები დასაქმებისა და შემოსავლების თვალსაზრისით თანაბარი შესაძლებლობებით სარგებლობდნენ.					
კითხვა 23.	მამაკაცის უმაღლეს განათლებაზე ზრუნვა აუცილებელია.					
კითხვა 24.	ქალის უმაღლეს განათლებაზე ზრუნვა აუცილებელია.					
კითხვა 25.	ბავშვის სქესზე პასუხისმგებელია მამაკაცი (და არა ქალი).					
კითხვა 26.	მხოლოდ ვაჟზე ზრუნვა აქცევს მამაკაცს ნამდვილ მამაკაცად.					
კითხვა 27.	ქალის ფუნქციებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მეუღლის ოჯახისთვის ვაჟის გაჩენა და გაზრდა.					
კითხვა 28.	ქმარს შეუძლია იძალადოს ცოლზე.					
კითხვა 29.	ცოლს შეუძლია იძალადოს ქმარზე.					
კითხვა 30.	მშობლებს შეუძლიათ ძალადობა გამოიყენონ მხოლოდ ვაჟის მიმართ.					
კითხვა 31.	მშობლებს შეუძლიათ ძალადობა გამოიყენონ მხოლოდ გოგონას მიმართ.					

1.2 ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭებასთან დაკავშირებული ზოგადი კითხვები						
	<i>ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭებასთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე რესპოდენტი საკუთარ აზრს აფიქსირებს იმავე პრინციპით, რომელსაც გენდერულ ასპექტებზე საკუთარი აზრის გამოხატვისთვის იყენებდა.</i>	სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები	სხვა
კითხვა 32.	ოჯახში ვაჟი მნიშვნელოვანია ეკონომიკური თვალსაზრისით (სამუშაოს შესრულებისას დახმარება, ხანდაზმულობის ასაკში ან ავადმყოფობის შემთხვევაში მშობლებზე ზრუნვა)					

კითხვა 33.	ოჯახში ვაჟი მნიშვნელოვანია სოციალური ზეწოლისა და ცრურწმენების გამო (ნათესავებისა და თანატოლების დამოკიდებულება, თავშეყრის ადგილებში გამოვლენილი დამოკიდებულება).					
კითხვა 34.	ოჯახში ვაჟი მნიშვნელოვანია, კულტურული და რელიგიური თვალსაზრისით (ოჯახის ხაზის (გვარის) გამგრძელებელი, წინაპრების ტრადიციების გამგრძელებელი).					
კითხვა 35.	შვილებს შორის სულ მცირე ერთი გოგონა მაინც უნდა იყოს.					
კითხვა 36.	შვილებს შორის სულ მცირე ერთი ვაჟი მაინც უნდა იყოს.					
კითხვა 37.	ჩამოთვლილთაგან რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც სულ მცირე ერთი ვაჟის ყოლის აუცილებლობას განაპირობებს?	<ol style="list-style-type: none"> 1. ეკონომიკური 2. სოციალური ზეწოლა და ცრურწმენები 3. კულტურა 4. სხვა (მიუთითეთ) ____ 				

1.3 ეკონომიკური ფაქტორები						
	რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს?	სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები	სხვა
კითხვა 38.	წყვილს უნდა ჰყავდეს სულ მცირე ერთი ვაჟი მაინც, რომელიც მათზე იზრუნებს, როდესაც ისინი ხანდაზმულები იქნებიან, ან იმ შემთხვევაში, თუ მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნებათ.					
კითხვა 39.	ქალიშვილი ვერ შეძლებს თქვენ დახმარება გაგიწიოთ ხანდაზმულობის ასაკში, ან იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები შეგექმნებათ.					
კითხვა 40.	წყვილს უნდა ჰყავდეს სულ მცირე ერთი ვაჟი მაინც, რომელიც მათ ოჯახის საქმეებში დაეხმარება (სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებისას, ოჯახში მძიმე ფიზიკური სამუშაოს შესრულებისას, ოჯახის ფინანსური თვალსაზრისით უზრუნველყოფა და ა. შ.)					
კითხვა 41.	ოჯახში ვაჟი უფრო არის ფინანსური კეთილდღეობის გარანტია ვიდრე ქალიშვილი.					
კითხვა 42.	ოჯახში ქალიშვილი მძიმე ტვირთს წარმოადგენს ფინანსური თვალსაზრისით.					
კითხვა 43.	ოჯახში ვაჟი მძიმე ტვირთს წარმოადგენს ფინანსური თვალსაზრისით.					

1.4 კულტურული ფაქტორები						
	რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს?	სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები	სხვა
კითხვა 44.	ოჯახში ვაჟი გარანტიაა იმისა, რომ მომავალში თქვენს დასაფლავებასა და საფლავის მოვლაზე ვიღაც იზრუნებს.					
კითხვა 45.	თქვენს დასაფლავებასა და საფლავის მოვლაზე ქალიშვილსაც შეუძლია ზრუნვა.					
კითხვა 46.	ოჯახში ვაჟი წარმოადგენს ოჯახის ხაზის (გვარის) გამგრძელებელსა და წინაპრების ტრადიციების გამგრძელებელს.					
კითხვა 47.	ოჯახში ქალიშვილი შესაძლებელია იყოს ოჯახის ხაზის (გვარის) გამგრძელებელი, წინაპრების ტრადიციების გამგრძელებელი. არაფერია იმაში ცუდი თუ მხოლოდ ქალიშვილები გყავთ.					
კითხვა 48.	ოჯახში ბევრი თაობის წარმომადგენლებთან ერთად ცხოვრება განაპირობებს ვაჟის ყოლაზე ზეწოლის ზრდას.					

კითხვა 49.	მშობლების გარდაცვალების შემდეგ ვის ენიჭება უპირატესობა ქონებრივი მემკვიდრეობის მიღების თვალსაზრისით?	<ol style="list-style-type: none"> 1. მთელი ქონება ერგება (პირველ) ვაჟს 2. ქონების დიდი ნაწილი ერგება (პირველ) ვაჟს 3. ქონება ნაწილდება ვაჟებს შორის 4. ქონება თანაბრად ნაწილდება ვაჟებსა და ქალიშვილებს შორის 5. ქონება ნაწილდება შვილებს შორის, მაგრამ ვაჟებს უფრო მეტი ხვდებათ წილად 6. ქონება ნაწილდება ქალიშვილებს შორის 7. ქონების დიდი ნაწილი ერგება (პირველ) ქალიშვილს 8. მთელი ქონება ერგება (პირველ) ქალიშვილს 9. სხვა (მიუთითეთ) _____
კითხვა 50.	თქვენი მშობლების მხრიდან ჰქონია ადგილი ზეწოლას სულ მცირე ერთი ვაჟის ყოლასთან დაკავშირებით?	<ol style="list-style-type: none"> 1. დიახ 2. არა 3. არ ვიცი 4. უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე

კითხვა 51.	თქვენი ნათესავების/ახლობლების მხრიდან ჰქონია ადგილი ზეწოლას სულ მცირე ერთი ვაჟის ყოლასთან დაკავშირებით?	1. დიახ 2. არა 3. არ ვიცი 4. უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე
---------------	---	---

1.5 ნორმატიული ასპექტები		
კითხვა 52.	დავუშვათ, მამაკაცს არ ყავს ვაჟი, თქვენ მას არასრულფასოვან მამად მიიჩნევთ?	<ol style="list-style-type: none"> 1. დიახ 2. არა 3. არ ვიცი 4. უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე
კითხვა 53.	დავუშვათ, მამაკაცს არ ჰყავს ვაჟი, თქვენ იგი შეგებრალეხათ?	<ol style="list-style-type: none"> 1. დიახ 2. არა 3. არ ვიცი 4. უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე
კითხვა 54.	თვლით, რომ წყვილს, რომელსაც მხოლოდ გოგონები ჰყავთ, არ გაუმართლა?	<ol style="list-style-type: none"> 1. დიახ 2. არა 3. არ ვიცი 4. უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე
კითხვა 55.	თუ ცოლმა ან პარტნიორმა მამაკაცს ვაჟი ვერ გაუჩინა, თვლით რომ ეს საკმარისი მიზეზია იმისათვის რომ მამაკაცმა მიატოვოს პარტნიორი ან მეუღლესთან განქორწინება მოითხოვოს?	<ol style="list-style-type: none"> 1. დიახ (საკმარისი მიზეზია) 2. არა (არ შეიძლება იყოს მიზეზი) 3. არ ვიცი 4. უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე 5. სხვა (მიუთითეთ) ____
კითხვა 56.	თუ ცოლმა ან პარტნიორმა მამაკაცს ვაჟი ვერ გაუჩინა, თვლით რომ ეს საკმარისი მიზეზია იმისათვის რომ მამაკაცის ოჯახმა ზეწოლა განახორციელოს მასზე, რათა მამაკაცმა მიატოვოს პარტნიორი ან მეუღლესთან განქორწინება მოითხოვოს?	<ol style="list-style-type: none"> 1. დიახ (საკმარისი მიზეზია) 2. არა (არ შეიძლება იყოს მიზეზი) 3. არ ვიცი 4. უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე 5. სხვა (მიუთითეთ) ____

1.6 დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევისა და დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევის შედეგების შესახებ ინფორმირებულობა		
კითხვა 57.	იმ თემში ან საზოგადოებაში, რომელსაც თქვენ ეკუთვნით, მშობელთა უმრავლესობას ვაჟი უნდა რომ ჰყავდეს თუ გოგონა?	<ol style="list-style-type: none"> 1. მკვეთრად იკვეთება ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების ტენდენცია 2. იკვეთება ვაჟებისადმი უპირატესობის მინიჭების ტენდენცია 3. არ იკვეთება რომელიმე სქესის მიმართ უპირატესობის მინიჭების ტენდენცია 4. იკვეთება გოგონებისადმი უპირატესობის მინიჭების ტენდენცია 5. მკვეთრად იკვეთება გოგონებისადმი უპირატესობის მინიჭების ტენდენცია 6. არ ვიცი
კითხვა 58.	ოჯახის დაგეგმვის პოლიტიკის თანახმად, თითოეულ ოჯახს უნდა ჰყავდეს ერთი ან ორი შვილი, დავუშვათ თქვენ უკვე გყავთ ერთი შვილი და თქვენი პირველი შვილი გოგონაა, მეორე ბავშვზე ორსულობისას იფიქრებთ ან მიიღებთ გადაწყვეტილებას გაიკეთოთ აბორტი, თუ ნაყოფი მდედრობითი სქესის იქნება?	<ol style="list-style-type: none"> 1. დიახ 2. არა 3. არ ვიცი 4. უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე
კითხვა 59.	უნდა ჰქონდეს თუ არა ექიმს უფლება გაუმხილოს ორსულს ნაყოფის სქესი?	<ol style="list-style-type: none"> 1. დიახ 2. არაა 3. არ ვიცი 4. უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე
კითხვა 60.	თქვენს ნაცნობ რომელიმე ქალს მიუღია გადაწყვეტილება ორსულობის შეწყვეტის შესახებ მას შემდეგ რაც გაიგო, რომ ნაყოფი მდედრობითი სქესის იყო?	<ol style="list-style-type: none"> 1. დიახ 2. არა 3. არ ვიცი 4. უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე
კითხვა 61.	რამდენად ლეგალურია სქესის მიხედვით შერჩევითი აბორტი?	<ol style="list-style-type: none"> 1. ლეგალურია 2. არ არის ლეგალური 3. გააჩნია სიტუაციას 4. სხვა (მიუთითეთ) _ 5. არ ვიცი
კითხვა 62.	გსმენიათ იმის შესახებ, რომ ვიეტნამში, განსაკუთრებით სოფლის ტერიტორიებზე, დარღვეულია დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა?	<ol style="list-style-type: none"> 1. დიახ (გადადით კითხვაზე 63) 2. არა (გადადით კითხვაზე 64) 3. უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე (გადადით კითხვაზე 64)

კითხვა 63.	რომელი წყაროდან მიიღეთ აღნიშნული ინფორმაცია? <i>(მიუთითეთ წყარო, რომლის საშუალებითაც შეიტყვეთ ვიეტნამში აღნიშნული პრობლემის შესახებ)</i>	<ol style="list-style-type: none"> 1. ამ პრობლემაზე საუბრობენ საზოგადოებაში 2. სოფლად არსებული მეგაფონიდან, რომელიც საჯარო მიმართვებისათვის გამოიყენება 3. ბილბორდები, რეკლამა-აგიტაცია 4. მოსახლეობაში გავრცელებული ბუკლეტები 5. შეხვედრები 6. გაზეთები, რადიო, ტელევიზია 7. ჯანდაცვის მუშაკი 8. სხვა (მიუთითეთ) _____
კითხვა 64.	ოდესმე გაგსაუბრებიათ ჯანდაცვის წარმომადგენელი რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის შესახებ?	<ol style="list-style-type: none"> 1. დიახ 2. არა 3. არ ვიცი 4. უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე
კითხვა 65.	ხომ არ ფიქრობთ, რომ ვაჟების სიჭარბე არასასურველი შედეგების მომტანი იქნება საზოგადოებისათვის მომავალში?	<ol style="list-style-type: none"> 1. დიახ (გადადით კითხვაზე 66) 2. არა (ინტერვიუ დასრულებულია) 3. არ ვიცი (ინტერვიუ დასრულებულია) 4. უარი განაცხადა პასუხის გაცემაზე (ინტერვიუ დასრულებულია)
კითხვა 66.	საზოგადოებაში, რა არასასურველ შედეგებს შეიძლება უკავშირდებოდეს ვაჟების სიჭარბე? <i>(აირჩიეთ მაქსიმუმ ორი პასუხი)</i>	<ol style="list-style-type: none"> 1. გამოიწვევს ოჯახის შემოსავლების შემცირებას 2. გამოიწვევს სოციალური პრობლემების გამწვავებას (აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება, ნარკომანია, და ა.შ.) 3. უარყოფითად აისახება წყვილთა ურთიერთობებზე 4. მამაკაცებისათვის რთული იქნება დაქორწინება 5. სხვა (მიუთითეთ) _____

ინტერვიუ დასრულებულია. მადლობას მოგახსენებთ იმისათვის, რომ დაგვითმეთ თქვენი დრო და გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები და ინფორმაცია, რომელსაც თქვენ ფლობთ. თქვენი პასუხები, კვლევაში მონაწილე 800 რესპონდენტის პასუხებთან ერთად, დაგვებმარება ვიეტნამში, ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭებისა და დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევის თვალსაზრისით არსებული სიტუაციის ანალიზსა და აღნიშნული პრობლემის გამომწვევ მიზეზთა დადგენაში. მოცემული ინფორმაცია ფრიად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის სოციო-ეკონომიკური განვითარებისათვის. კიდევ ერთხელ მადლობა და ნახვამდის!

დანართი 2: მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს ნიმუში

	მაჩვენებელი	განმარტება როგორ წარმოებს მისი გამოთვლა?	არსებული მონაცემი როგორია არსებული მონაცემის მნიშვნელობა?	სამიზნე მონაცემი როგორია სამიზნე მონაცემის მნიშვნელობა?	მონაცემთა წყარო როგორ წარმოებს მისი გაზომვა?	პერიოდულობა რა პერიოდულობით წარმოებს მისი გაზომვა?	პასუხისმგებელი პირი ვინ აწარმოებს მის გაზომვას?	ანგარიშში ასახვა სად იქნება იგი ასახული?
მიზანი								
საბოლოო შედეგები								
შუალედური შედეგები								

წყარო: [tools4dev](#)-ის მოცემული მოდელი ლიცენზირებულია [Creative Commons Attribution-ShareAlike 3.0 Unported License](#)-ის შესაბამისად.